

268 K⁹5408
2



899 962.1
8 591-6

ხ მ ა მ ი

○ ნ უ

სჩეკულითა ლექსითა კრეპი

მოზრდილ გრამატიკის

ახ K 95408
2

64593

შედგენილი

იაკობ ბოგებაშვილის-მიერ

გ ა შ თ ც ე შ ა შ ე რ ა რ ე

ეს ლექსითა გადმოშეცდილი პირველი გამოცემიდვან, რომელიც მოწონე-
ბულ იქმნა განათლების სამინისტროსა და უწმინდესი სინოდისაგან საზა-
რებლად სკოლებში.

თბილისი, 1891

მაქსიმე შარაძეს სტამბა.



894.631-4

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Ноября 1891 года.

მოგონება.

რაც უნდ ვიცოცხლო, დედა მე არ დამავიწყდება:
მე მისი სახე ახლაც ცოცხლათ წარმომიღება.
მახსოვს მე, დედა ღამე გულზე მიმიხურებდა
და წმიდა ლოცვებს ტკბილად, წყნარად მიფუჩუნებდა.

შეელაზე უფრო მე ვუსმენდი მისს დარიგებას,—
მისი სიტყვები გრძნობიერნი დარჩნენ გონებას:
„ისწავლე, შვილო, რომ შეიქმნე კარგი სწავლული
და შენი სწავლით ასარგებლო შენი მამული.

იცოდე, რომა მამულისთვის ის ძე ფუჭია,
რომელს ნაყოფი ტკბილი მისთვის არ მიუცია.
შცადე ენის,. მამულისა შენ აღდგინებას,
თუ გინდ ელოდე შენ ამისთვის ცემას, გინებას:

ნათქვამი არის,—, ის მარადის კურთხეულია,
პისიცა სისხლი სამშობლოსთვის დაქცეულია.“
ამ სიტყვებისთვის მე მიყვარდა გამოუთქმელად
დედასთან ყოფნა, მუსაიფი მარად გულ-წრფელად.

ამისთვის დედა მე მიყვარდა გულით და სულით,
დედას—მე, რომა ყურადღებით ვუსმენდი სრულით.
შაგრამ უწყალომ მომაშორა ბედმა მე დედას,
მსე რომ ყური მას ვერ უსმენს, თვალი ვერ ხედავს...

ბახსოვეს შავი დღე, როცა დედამ შეწუხებულმა
მიმიკრა გულზე, მითხრა სულით აღშფოთებულმა:
„ზიკვდები, შვილო; მით სიცოცხლე გამმწარებია,
რომ შენი სწავლა, შენი აღზრდა არ მომსწრებია...“

„კკვდები, სამშობლოს—შენს უფროსსა დედას გაბარებ:
მედია, რომ... ჩემზე უფრო... მას შეიყვარებ.—
რაც რომ გმართებდა, შვილო, ჩემი... პატივის ცემა,
უჩერეს გმართებს... მამულისთვის... თავის გაცემა...
ბახსოვდეს, შვილო, რაც რომ შენმა დედამ გასწავლა...
კკვდები, სიკვდილმა მეტისა თქმა აღარ... მაცალა...“

ს ი ჭ მ ა რ ი.

დღისა სიცხადით გულ-დაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ძეოვვან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ძეოვვანსა წმიდა მოწამის.
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდის ქრისტიანობის.

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი;
საქართველოსკენ აშვერდნენ ხელსა
და შეერთებით, ხმა შეწყობილად
ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა:

, დედაო ლვისავ, შენი ხვედრია
მს საქართველო დიდ-ჭირ-ნახული;
შეუნდევ ცოდვა, ნუ აიღებ ხელს!
ლმობიერებით იბრუნე გული.

, მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გამოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ ალადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი.

მისა მხნეობას, მისა ზნეობას
გაუმტკიცებდე აღმა-ფრენასა,
და შენ საქებრად, სადიდებელად
ნუ დაუკარგავ იმ ტკბილს ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ჩეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენის მცნებასა
შენგან რჩეულს ერს უქაღაგებდა“.

აკაკი წერეთელი.

ღ ა მ უ რ ა.

(ზღაპარი)

მრთმა უგნურმა თაგვუნამ იუკადრისა თაგვონა;
დასწყველა თვისი გაჩენა... ბუნების იწყო მან გმობა:
, იმ უსამართლო ბუნებამ თაგვათ რათ გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, მან ჭერ-ჭეშ მომცა ბინაო!

,, Յօս յշաճրեծ տացաքեթան կուգու ծիցյա և լոենառ? Ցյ ՇեմՇյենուած հիւրոծա, հռմ մեթյու մալլա ցրենառ. ,, Իռմ զոնմյ հիւրած մայլուազուց, ցամոմածամլց ցրտեթսառ, Ցավորոնճեթուած յրտու წամսա, ցաճազուալուու թոյեթսառ!....“

Իռմ լաասրուլա յս նաւրա, նախ, հռմ ցրտեթու յսեմյեծ և մերտու սոխարուլուտա սածրալուս տաց-ծրու յսեմյեծ... Ցոնլուտ Շյեցա տցու տրոլցիս, ցայլուազուցլուվ այարլա, հիւրեթու ցամուրուա. ամանապ ցանազարլա....

Հիւրեթմա աեց-ձաեցուց, տոյեցու: ,, Յօն մուսուլա յսառ? Իւ հջուլու ցեռուցու արու? հիւբենան յօն ցաաթյեսառ? ,, Մալ-մանալուած տացու սցաց, ցրտեթու ասեսա հիւբենու! Իռոգորլապ կյուուլ սուլս առ Ֆցաց... Կորու արու Հւ սցենու! ,, Եցյա միւրեթմա մոցիազուց, Շյեմոհենուլուպ ոյուսու! Արոյիս, ցրտեթուլուպ ոյացուտ, արացոն ցացածրուցուսու!“

Ծայլուալցուց, հայնուսյարուց, ցաէյրես-ցամուշիրես ծրկուալցու, Տուսելու ալոնց լամյուրաս, ցամունցնուց տացալցու! Ծալմա დայշու լամյուրա, մոմարտա ուսց ժցու սագցուրս.... Ցացրամ պյ սուրու Շացու դլու Ծայլուց մանուն սկըդուրս: Տացաքեթմա ատուալիւնցուց, ալար մուուց, հռմ նաեսա, Ցուցարունց յրտուած Տայենաթ, ,, չի մացասառ!“ Ծասմաեցու...

Մանուն կո մուցու լամյուրա, հռմ անցարութու Շայեծա և մուսու նաւրա սցունուրու Տայուր-ծուրութուտ այեծա! Ցուանլա ոյու! ցայլունճա ցայլություլ, տաց-լաց-ձասեմյուլու, Վրտ ժցու նանցրեցնու Շյեյրունճա և մուօծրունա ոյ ցուլու. Ցաս Շյեմլց նանցրեցնու ծոյլուց, գլուսուտ ցեր հնդցեծ Տուր- Ուցուլուտ և մուճամ ամաս Շուրունուց կոնցուտ և ցուլուս Ծյուուլուտ:

„ქრულ-იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დაწუნებულსა კირი მიუვა კარზედა!

„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკობს ჩემსავით ცრემლთა დენასა!

„შადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია!

მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!!

„ძველ ტომში გამოსხლეტილსა არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაკიცხვენ: დაუწუნებენ ფრენასა!

„ქრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,

თვის ტომს ლალატობს და მითი თვით ჰეთიქრობს მაღლა ფრენასა!“
აკაკი წერეთელი.

ბებიას ნაამბობი.

ოცნებით გატაცებული ჩრდილში დამჯდარა ბებია;
ჰუიქრობს, რაც ადრე უნახავს, ან ახლა რა ამბებია.

ნან იცინის და ხან ტირის, თითქო ჭკუაზედ იშლება,
და მისი სახე დამკუნარი მარტის დღესავით იცვლება.

ხშირ ყვავილებში მახლობლად ყმაწვილი დასდევს პეპელას;
მს არის მისი სურვილი, მას ანაცვალებს სუყველას...

— ბებია, ბები! მიშველე; პეპელა გამიფრინდაო!

— მე ჩემი დარდი მეყოფა, შეილო, ეგ რაღათ მინდაო!

— ბებილო, ღიდი ხანია, მინდა რამ გკითხო შენაო,
მე ნუ მოგიკვდე, მითხარი, დასძარი ჩემთვის ენაო!

— შენ გენაცვალოს ბებია, რად მინდა თხოვნა, ფიციო!

შენზედ უკეთესს ვის ვეტყვი, თუკი მე რამე ვიციო!

— არ გაჯავრდები? მაშ კარგი! ყური დამიგდე, ღიღ-ღეღა: როცა ბაზრიდამ მოვდივართ მე და შენ ხოლმე ხიღზედა, შოველთვის ფერი გეცვლება, გული დაგიშევებს ძერასა, და შენ რაღაცა ბუტბუტით ახშირებ პირჯვრის წერასა.

და ხიღის ყურთან რომა დგას ვიღაცა აყუდებული, თვალ-ცრემლიანი შეჰყურებ მას, სახე გაბრწყინვებული! ხიღის ჩატეხას თუ ფიქრობ, გაშინებს ღიღი მტკვარიო? ან ერიდები იმ ბოჩას, ხიღთან რომ შავად არისო?

ბებიამ უთხრა: — „გატყობ, ხარ რაღაცა უცნაურიო! ბეტყვი ჩემ გულის პასუხებს და შენ დამიგდე ყურიო: შენ რომ ბოჩოლას ეძახი, ის არის ძეგლი გმირისა. ხომ ხედავ, ქუდ მოხდილია, თითქოს რაღაცას სტირისა!

ჰედავ, დამდგარა მტკვრის პირად, ყურს უგდებს მწარე ნანასა, მაშის, რაც ტანჯვა უნახავს საბრალო ჩვენ ქვეყანასა! იმას უამბობს მღელვარე მტკვარი დუდუნით მთხრობელი, რაც ქართველთ ცრემლი უღვრიათ თვალთაგან შეუშრობელი.

მრობის, ენის, სჯულისთვის ვით შეუნახავთ პირობა და მარად, საშვილი-შვილოდ გადაუხდიათ გმირობა. ან რა მიუძღვისთ მათ ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე, რომ შეუწირავთ ქვეყნისთვის იმათა სისხლის ზედაშე.

ქველი ამბისა მოთხრობას ყურს უგდებს გაოცებული, ნიშნათ პატივის ცემისა ქუდს იხდის მოხუცებული, — და ასე ამბობს: „ამალლდეს ქვეყანა უძლეველიო! და წყეულ იყოს, ვინც მტრულად იმას შეახოს ხელიო!

ის შემცდარია სრულიად ჭკუით და გონებითაო, ვინც ჰუციქრობს იმის დაჩაგვერას შიშით და მონებითაო!

მე ვიცი კარგად, რაც არის მისი კავშირი სრულიო:
„სიმართლით გულის მოგება, ძმობა და სიყვარულიო!“

აი რას ჰფიქრობს ის გმირი, შენ რომ ბორილა გვონია,
ვისიც სახელი სუცველა ქართველ კაცს გაუგონია!
მას ეძახოდნენ ვარანცოვს! ის იყო გმირთა გმირიო...
მის დროს ვიგონებ მოხუცი და, შვილო, მიტომ ვტირიო!“
აკაკი წერეთელი.

მმინარე უმაწვილს.

(თქმული ბატონ-ყმობის დროს)

ლმერთო!... აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ნალხთ სამსახურად მიეცი ღონე;
აღუხვენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ლმერთო!.. მოჰმადლე მაღლი ზეცისა,
შთაბერე მაგას ძლიერი სული,
რათა შეიქმნას თვისის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.

ლმერთო!... თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი მაგას არ დაებინდოს,
ვიდრემდის ტანჯვის ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოჰსწმინდოს!..

ილია ჭავჭავაძე-

ნ ა ტ ვ რ ბ.

(ნეკრასოვიდგან)

ზაღის ღრო და თან მაკლებს მე ძალას,
ზაღის ღრო და თან სულსა მიწუხებს.
მამულო ჩემო! ჩავდივარ საფლავს
და ვერ ვესწრები მე ბედნიერ დღეს,

იმ დღეს, როდესაც ცრემლი შეგშრება
და გაგიქრება შენ ყველა წყლული,
და წმიდა ნატვრა მე ამიხდება,
შმაწვილობიდგან გულს ჩასახული.

ზაგრამ კი მინდა, რომ სიკვდილის უაშე
შევიტყო, რომ შენ გზას ადგევხარ სწორს;
რომ შენი მუშა, რომელიც სოესავს,
მლის კაი დარს,—მოსავლიან ღროს;

რომ მომაკვდავთან ნიავს მოჰქონდეს
სამშობლოს სოფლის ერთი მაინც ხმა,
რომელშიაცა აღარ ისმოდეს
პაცის სისხლისა და ცრემლების ლვრა.

საქართველო და ერებლე.

შვეიცარ ვეძებდი სამოთხეს სამხრეთისაკენ. ედემსა,
მფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა,
აქ ვერ ვხედავდი ევასებრ მშვენიერებსა დედებსა,
არც სად ხეხილსა, არც წყალში ამაყსა თეთრსა გედებსა!

შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა უდაბური და მწირია,
მოვბრუნდი, მხარი ვიცვალე, ჩრდილოსკენ ვქენი პირია,
ზიარე, არ შევიმჩნიო მე ჩემი გასაჭირია...

ანკი რა მეთქმის? — კაცის თავს ვაება დიახ ხშირია!..

აგერ მოვედი და შევხედი სანატრელს ნეტარებასა!..
ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსოფელის ამის ქებასა,
ზაღაუქიმულა წალკოტად, შახედეთ ღვთისა ნებასა,
მს საქართველო ყოფილა — ჰევედრია ღმრთისა დედასა!...

ორი ზღვის შუა მდებარებს ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყვავის და ჰყვავის მუდმისათ, ყინვისგან დაუმზრალია,
შიგ ბანოვანნი კეკლუცნი მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,
ვაუ-კაცო ცალ-ხელში ჯვარი აქვთ, მეორე ხელში — ხმალია!...

ვიშ, რა ხალხია, რა ტურფა, რა გულოვანი მოყვასი,
შხვი, მხნე, ძრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯულისა კასკასი,
შურით, იჭვით და ტრფიალით მათ გამოსცემის კავკასი,
ნოეს კიდობნის მტვირთველიც და ურწმუნონი ათასი!

რა ქვეყანაა, რა ჰშვენის, დამატებობელი სულისა,
ვაზი ვარდს გადახვევია, გამლალებელი გულისა,
არ ეკრძალების კავკასის, ღრუბლებით დაბურულისა,
დარაჯად ჰხალის ამ მთასა, ზოგჯერ მიზეზათ წყლულისა!

აქა მეფობდა მრეკლე, გულადი, შეუპოვარი,
ნამდვილი მეფე ყმათათვის, სიკეთის დამმახსოვარი,
მის ხელში ყველა ხარობდა: მოხუცი, ძუძუს მწივარი,
არვისთვის შურდა ნაშოვნი, არც მამის დანატოვარი!

იყო მხნე, დაუღალავი, ხრმალზედ ეკიდა მას ხელი,
შველა იქებდა ირაკლის, მტერიც არ ჰყვანდა მძრახველი,

Ոյո վերօն-ռերու մոտարվելո, մամա ռծոլու դա վելո, առմեն, մոպասո լա՛շիարու, մոտ ուսելու սաելու.

Յա ոմ դրուս, թոյլու թիւրո ցար՛՛շեմոյնուա.

Երմլուտ ոցը թիւր ծոլիցնուա, ոմատուու ցայլոյնուա,
Վլոյն յրու ոցը թիւր եցու սեցու դաշմարու ուարոյնուա,
Առ Շեահին առացու, — յո մուսո վյունուա!...

Հագուց յրուտացո.

Ճ ճ ճ չ ո.

Իւյնո առաջցու! Հա հոյ մոպահեար!
Իւյն ժյուլ կեռարդու մուխամյ Շեն եար!
Շենս կուզեցնու իւմո մամուլո
Ոյո յրու դրուս ցան՛շենցնուլո.

Իւմու վեյնուս դուզեցնու ժյուլո
Շենու տալուս վին ապազեծուլուա,
Մոպահեար մուտուս, հոմյ վարտզելո
Այ Շենս կուզեցնու դածալուլուա;

Շեն Կարտեցնու Շորու իւմու վեյնուս
Ցկայլու մոտերու դամարեսուլուա
Ճա վին առ Տուսելու վարտզելունուս
Շենս կուզեցնու ցածասեմուլուա.

Ոյ, Տաճաւ Շենս վին առ վյալուս
Վեյնու եմուանս Շորու անս թիւզարուս,
Ոյ յրու վարտզելուս Տուշու պալուա,
Ոյ մամուլուսուս վարտզելուս եմա վյունուա.

შენ ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
 და საუკუნეთ იგი ქართველნი!.
 ბულხელ დაკრეფილ შენს წმინდასა წყალს
 რამდენჯერ ტანჯვით ვაღევნებდი თვალს.

რას ვეძებდი მე? ჩემს ქვეყნის წარსულს,
 შენს წინ დაღუპულს ჩემს ძევლსა მამულს,
 და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
 პძლევდა ხოლმე გულ-საკლავს პასუხს!

ილია ჭავჭავაძე.

შ ე ს ვ ე დ ო ა.

მრთხელ ქუჩაზედ ჩამომხმარი ყმაწვილი შემხვდა,
 ძონძი ტანთ ეცვა, სიცივისაგან ის კანკალებდა;
 იყო სნეული, ფერ მიხდილი, თვალთ ნამტირალი,
 შრისტეს გულისოვის შემწეობას მოხოვდა საწყალი:

„ხუთი და-ძმა ვართ, მამა ჩვენი გაგზავნეს ომში,
 და დედა ჩვენი სიკვდილს ებრძვის ხმელსა ლოგინში;
 სახლიდგან გვყრიან, საექიმოც არა გვაქვს ფული,
 და ჩვენცა თითქმის ყოველს დღესა გვახრჩობს შიმშილი.“

ბული მომიკვდა ამის გამგონს, ეწუხდი სულითა,
 შმაწვილს დავუწყე მოფერება სიყვარულითა,
 საუბედუროდ, არა მქონდა ღონე შველისა,
 ამ მწარე ხველრმა მე მომგვარა კვნესა სულისა.

ჩვენს პირდაპირ კი მშვენიერი სახლი ბრწყინავდა,
მწვანე სტოლები შიგ ქალალდის სათამაშოდ სჩნდა,
მდიდრულათ იყო ის მორთული, გაჩაღებული,
ბალის მუზიკა იქ გრგვინავდა გაცხარებული.—

ს ი ჭ მ რ ე ბ ი.

ვნახე სიზმარი: აღვსულვიყავ მას მთას წმინდასა,
საზაც გალობენ ანგელოზნი ღვთის ღიდებასა.
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი
ზარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემ თვალთა წინა;
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მისს წიაღს შინა.
მზის სხივნი უხვად ბრწყინვალენი მაზედ მნათობდნენ,
მაგრამ უსულოს და გაყინულს ვეღარ ათბობდნენ.
წყალნი სჩნდნენ, მაგრამ შემდგარიყო მათ მდინარება,
შვავილთ და მდელოთ აღარ ჰქონდათ თვის მცენარება;
აღარ იძროდნენ აღარც ხენი და არც ნიავი,
ბუნება იყო სრულიათ მკვდარი, სრულიათ უძრავი.

ვხედავდი მრავალთ მაგარ-საღვურთ, ტაძართ ღიდებულთ,
მაგრამ შემუსვრილთ, დარღვეულთა და დატევებულთ.
ვგრეთ უსულო ჩემთ თვალთ-წინა იდო ივერი...
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.

მგრეთ ასულის ტურფას, წმინდას, ახლათ მიცვლილსა,
ბულ-ხელ დაკრეფილს, გაციებულს და ფერ-მიხდილსა
პლარ აცხოვრებს კა ბრწყინვალე და ქვეყნის შვება,
შავრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება.

შახე სიზმარი, კვლავ აღვედი მას მთას წმინდასა,
სადაც გალობენ ანგელოზი ლვთის ღიღებასა.
შედავდი ივერს, გარდა შლილსა ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მისს წიაღს შინა.
შზის სხივნი უხვად ბრწყინვალენი მაზედ მნათობდნენ
და მის მთა-ბართა და ხეობათ უხვათ ათბობდნენ;
წყალნი ნაკადნი ფრიალოთვან ქუხილით სჩქეფდნენ,
მოკამკამენი მდინარენი ველებზედ რბოდნენ.
ზურ-მუხტნი ველნი და ყვავილნი კაცი და ბუნებას
შხვათ და მდიდრათ უგზავნიდნენ სუნ-სულნელებას:
მაგარ სადგურნი და პალატნი, წმინდა ტაძარნი
ოვის ნანგრევთაგან დიდებულათ იყვნენ ამდგარნი.
მხიარული ხმა წერაქვთ-ბართა, საღმრთო ხმა ზართა
შალლა შესძახდა განლვიძებულთ მთათა და ბართა...
შედავდი ივერს, მის ძეთ სულით, ძლიერის ნებით,
ტურფად მორთულსა მშვენიერის შენობებით;
შედავდი მაღლა კას ნათელსა და მშვენიერსა,
დაბლა გიწაზედ—ერს მშრომელსა და ბედნიერსა.
ზანკერა სიზმარი...

თ. ვახტანგ ორბელიანი.

გ ე ლ ა თ ი.

(ვუძღვი იმერთ)

არის ადგილი, მის შვენებას ვერ ასწერს ხელი;

როგორც მდემის, მის აღწერა ისეა ძნელი.

მისი შვენება მდემისა არის შვენება;

იმის შვენების მოშორება თვალს ენანება.

თვალს მოშორებთ, თქვენი გული იმისკენვე რბის,

იმის კვლავ ნახვას სიხარულით გული მოელის.

ზაფხულ ზეფირი მას დაჰქროლავს და მაზედ ხარობს,

ზამთრით შეზ მარად მაზედ მნათობს და მის გულს ათბოპს;

დამის მნათობნი სიხარულით მას დასკერიან,

შხვათ თვისით სხივთა ზამთარ, ზაფხულს მას უგზავნიან.

შე არს მიწა საყვარელი ვარსკვლავთ და მზისა,

ზურმუხტ მდელოსი, ფურჩქვნილ ყვავილთ და ნათლის კიბე.

დიდი შენობა მის დიდს მთაზედ არს აღმართული;

ათასის წლისა, ხავსით არის იგი მორთული.

ხდგას დიდებულათ, გულ-ამაყად, მტკიცეთ და მაგრათ,

თითქოს უბძანებს გარეშემო ხეობათ და მთათ:

— „აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლოთ, ვდგევარ ლიტონი,

მარტოც ვარ თქვენი ბძანებელი, თქვენი პატრონი!“

რა შენობაა ის შენობა? — ჰკითხეთ თითონ მას;

ათასის წლისა თქვენ კედელი მოგცემთ თითონ ხმის:

იმის კედელი, ჯერაც მტკიცე, არ დარღვეული,

იმ შენობისა დიდებული არის რვეული.

ის ჩვენ მოგვითხრობს: „მე აღვშენდი ხელით ძლიერით,

„ათასმა წელმა ჩემ თავზედა ვანვლო გრიალით:“

„ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი;
 „იძროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი;
 „სეტყვა და მეხი მრისხანენ ძლიერად მცემდნენ,
 „ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს ცდილობდნენ.
 „მაგრამ, ხომ მხედავთ, აწუა მაგრათ, ვით ძველად, ვდგევარ,
 „თუმცა ათასის წლის ხავსითა შემოსილი ვარ.
 „აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა,
 „როგორ ამაღლდა საქართველო, როგორ დაეცა.
 „ჩემსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
 „თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
 „პოეზიისა ერის გულში სხივით მორთული,
 „ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული.
 „აქ განისვენებს... მის სახელი — დიდი დავითი.
 „მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი“.

ვახტანგ ორბელიანი

64593

ვიდეს ჭენ წინა.

ვიდეს ჭენ წინა უგონო, უცრემლო, ვაქვავებული;
 ზაციებულსა, გაყინულს ძლიერდა მიძგერდა მე გული!
 ვგრძნობდი, ვხედავდი მხოლოდ ერთს — ამ სოფელს ესალშე-
 ბოდი!

იმ უკეთესსა სოფელსა გაფრენას ემზადებოდი.

სკუნებოდი, ტურფავ, ვით ვარდი სკუნება შვენებით თვის
 ბუჩქედ;

ჰქრებოდი, ვითა მთიები ჰქრება განთიადს მზის შემსახული;
 დასკუნება ვარდი, მაგრამ კვლავ გაზაფხულს გაიკრინება;



ზაჰქრა ვარსკვლავი, მაგრამ კვლავ საღამოს გამობრწყინდება.
შენ ვეღარ მოხვალ, სატრფოვო, ვერ გაგვინათლებ ბნელ არეს;
შენ ვეღარ გაიფურჩქნები, მიხვალ უწყალო სამარეს.
რა გაიფურჩქნე, მსწრაფლ დასკუნდი, ჰყვავოდი მხოლოდ ერთ-
სა წამს,

ზანქერ, ამ სოფელს ვერ ოდეს შენ ჩემი თფალი ვერ გნახავს.
მაგრამ იქნება იქ გნახო, სადაც არ არის სიკვდილი;
სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი;
სადაც არ არის არც უამი, არც დღე, არც ღამე არ არის;
სადაც მნათობთ წილ მარადის მნათობს ნათელი ღვთაების;
სად სიყვარული წმინდა არს და წმინდის ალით ეგზნება;
სად საუკუნოს ცხოვრებას აქვს ღვთაებრივი სრულება.

ზნახო, იქ გნახო იქნება, გიშჩერდე ტურფას და ნათელს,
რაც აქ ვიტანჯე, იქნება აღარ მახსოვდეს იმ სოფელს.

ვახტანგ ორბელიანი

გუთნის ღეღძ.

გადი, გამოდი, გუთანო,
ღირდიტავ, ბანი უთხარო.

მრთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ;
მრთვულათ ვკიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოთ დავლიოთ დღენი!
ბელტო ბელტოზედ გადმოვაწვინოთ

და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.

ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი

ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:

შეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,

რაღანაც ზეცა წამართვეს ძალით;

შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,

სიკვდილის შემდევ დასავიწყელისა.

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!

ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგმურდება:

რათ მინდა ხმალი, თუნდ იყვეს მკრელი,

თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება...

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,

რომა აჩეჩის მარტო მიწანი

და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალას,

რომელიც უშლის თესლსა ამოსკლას?

შე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,

ჩემის კაცობის გულის დუღილის

სიტყვანი გულში მებადებიან,

მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,

როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავ! —

აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი

შენს უღელზედა უფროა ძნელი...

მაშ რა გაღონებს? — გასწი ჭაპანსა

და გაიტანე გუთანი ბოლოს,

ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,

ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!

ქართველის ღერა.

ჸე, შართლის დედა, ძუძუ შართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა.

გაჰქრა ის დროცა! დიდმა ნაღველმა
პორთების ქვეშე დაჩიგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილათ შესცვალა.

შითხარ, საღლაა შაშაპაპური
ზნეობა, ხშალი, მკლავი ქველური?
სახელისათვის ამიყი თრთოლა,
შამულის მტერთან სასტიკი ბრძოლა?

ჩას ნუდარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ვსდევდეთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

აქ არის, დედავ, შენი მაღალი
მნიშვნელობა და საღმრთო ვალი!..
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხშარობდე შრისტესა მცნებას,
შთაავონებდე კაცის სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—

რომ სიკეთისთვის გული უთროდეს
და მყობალისთვის ის ბედთან ბრძოდეს.
შენდე, მიიღებ ნერგს შენგან ჩარგულს,
და მოგცემს ნაყოფს ვით კაცი, კაცურს.

დედავ! ისმინე ქართლის ვედრება!
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინა ჰქონდეს კეშმარიტება
და უკან კვალი განათლებული.

შ ო შ ი ა.

ჩვეულის სევდით აღმეცხო გული, შან დამალონა;
უკურნებელი გამეხსნა წყლული და მომავონა:
შარიშხლიანი ყმაწვილობა ჩემი წასული,
სარწმუნოებით სავსე გრძნობა მოტყუებული:
როცა უქცუო ვიგულებდი ყოველსა სულსა
მამულის შვილად, პატივს ვსცემდი, როგორც ერთგულსა.
როცა მიყვარდა მე ყოველი დასანახავი,
ბალი, მწვანილი, ხე და ველი, მიწაც ნახნავი,
როცა დეთისადმი მქონდა ერთი მხოლოდ ვედრება:
ჩემის საყვარლის სამშობლოის ბედნიერება.

შელარ გაუქელ ძველებურსა სისხლის ღულილსა,
და დავეშურე დაგებულსა ქვეშაგებს ლბილსა.
მწოლარს ზედ მაწვნენ უთვალავნი მწარე ფიქრები,
როგორც მაღალს მთას ღილით შავნი ავდრის ღრუბლები.

დავსუსტდი, დაებნდი, დამიბნელდა თვალთა სინათლე;
ვგრძნობდი სიკვდილსა, თან მიმდევდა მარტო სიმართლე.
უკანასკნელია ამ სოფელსა კუთხარ მშვიდობა,
და მიხაროდა სიკვდილის წინ უტანჯველობა.

ამ დროს შორიდგან მოისმოდა ხმა მშვენიერი.—

მისი სიამე არ ითქმოდა, იყო ძლიერი!

თურმე შოშია შინაური სტვენდა, გალობდა;
მეყურებოდა მისი მოთქმა, ამს ამბობდა:
შმაწვილობილამ გალიაში უჩსნელ ტყვედ ვზივარ,
ჩემსა აღმოშზდელ სამშობლოში შეპყრობილი ვარ;
თუმცა ხანდახან გამიშვებენ ვითომ ნებაზე;
მაგრამ მაშინაც თვალს მავლებენ მცირე ფრენაზედ.
მეუბნებიან სიტყვა სთქვით ჩვენებურათა;
ძლიერ ცდილობენ შევეჩვიო, გავხდე სტუმრათა...
მე ლეთისაგან მაქვს დანიშნული მისის წყალობით:
სახლად ტყეები, აღვსებული ყოვლის ნაყოფით;
სახლდოთ ველები, შემკუბილნი ხეხილებითა,
პთას ფეროვნად შელებილნი ყვავილებითა.
იქ მყოფი უნდა დავფრინ ვიდე, თავისუფლებით;
ფრთებს ნელსა ნიავს გაუშლიდე სიამოვნებით.
პამარა შევკრა, გარდმოვხედო მშვენიერს ბალახს;
ტკბილის ცრემლებით გაუბედო ქება დიდს ალლახს.

ოჟ შემოქმედო! რა ნაირად მაშინ დაგლოცავ
მე და მრთლათ ტომი ჩემი ხშირად შენთვის მსხვერპლს დავს-
წვათ.—
მამია გურიელი.

იარჩლისადმი.

ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი გვსხდეთ ველსა მწვანეს;

ჩუმბებურადა,
დველებურადა
გვსუამდეთ,
გიძახდეთ:
იარი—იარალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
შნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მაღასა განგვიღვიძებდეს.

ქახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა კელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდენ წინ სუფრას.

ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური,
მარად ბრწყინვალე ზე დაგენათიდეს,

გაცხელებულთა
ლვინისგან შუბლთა
ქოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...

შენ მომითხრობდე,
გე, ყრმა, გისმენდე,
გამოუცდელი—მოხუცებულსა,

თუ ვით ივერნი,
ლომ-გულნი გმირნი,

ჰბრძოლნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.
ზისმენდე, თუ ვით მდევარის კმაზე
ჰაბუქნი მკნიბით აღტაცებულნი,
გრერთ საძიებლად, დაცემად მთაზე
შეგროვდებოდნენ, წამს შეჭურვილნი.

გად მას გრერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე არ დაპფარვიდნენ,
გითა, შურდულებრ, ტრედთ შავარდენი,
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ!..

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწი-
რა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქუნდათ ტრფობა მამულისაღმი გულს
აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება
ივერთ თვისებას შეაღვინებდნენ;
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა ვანაღიდებდნენ...

ზისმენდე: თუ ვით, დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით, მოწოდებულნი
ჰაბუქ-მხედარნი ყაბახსა*) ვრცელსა,
გითა საომრად მომზადებულნი,
გით ალვა რგულნი ცხენზე უძრავად,
მოპქრიან ესრედ, ვითა ნიავი.

*) სადაც ეხლა არის სასეირნო ბაღი პლექსანდრესი, იქ იყო დიდი საჯირითო მეიდანი, სახელად ყაბახი.

ჰკრეს ნაღარიასა — განიყოწენ ორად,
აპა, სააშო ჰსჩანს სანახავი!

ცხენთა ოქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთ-
მაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენიდგან ხტოშა, კვალად ზეხტოშა და ხმალთ
კრიალი!..

ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა
ცსრითა მკუპთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის

და მოხუდა ქუვაზე*) თასს ნიშნად დგმულსა.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი**) სიამით მარად უმზერდა
შორით,

ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არდა არს, ვისთვისცა ვჰსტირით!
წასულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა
წარიღეს.

ამ უცხოს ცის ქცეუ ზოგთა ვჰსჭერეტთ იხტირით და ცრემლით,
ზოგია წმიდა სამარეს!..

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
მრთისა დაკვრით,

*) ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც
დაჰსმიდნენ თასსა და ესროდენ ჯირითს, და ვანც მოარტყამდა, თასი იმისი
იყო, ჯილდოდ გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ერისთავმა გაიმაჯვა-

**) მეფე ერეკლე.

“ შსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?...
მარამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
საღ აზარფეშა, საღ არს მწვანილი?
ლეინის—წილ კვასი, მზისა წილ—ყინვა!
გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყუდიადსა
საღლა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურძს, მე ნოვგოროდსა,
გარედ შკლავს ყინვა და შინ უგარი.—

ზუღს ეწუხების, რა აგონდების დღენი წასულნი ნეტარებისა;
მარამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და კმუნვა მითცა შემცირდებისა.

ვრიგოლ თრბელიანი.

ქველი დმანისი *).

მამა-პაპათგან შხვედრათ შემხედა დმანისი ძველი.
დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?
სალა ფრიალო, უნაყოფო ხარ იღმართული,
მწვანე მდელოთი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული;
შენს სალა გვერდზედ ვერ გავავლებ გუთნითა კვალსა,
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;
ვაზს არ ახარებ, რომ რთველითა გული ვიხარო,
რომ შენის ღვინით გულის კმუნვა, სევდა ვიქარო.
დარღვეულს გზაზედ შენზედ ასვლის კაცი ძლივს ჰშედავს.

*) სოფელი დმანისი მდიდარის შენობათა ნანგრევებით ორბელიანთ
მამულშია, მეაშავერის წყალზე; მამულის გაყოფის შემდეგ ერგო ავტორს.

მაშა ლეთის თვალსა შენზედ მაღლით არ მოუხედავს.

მაშა, ლენისო, არა—რისთვის არა ხარ სარგი,—

რათ მინდიხარ მაშ, თუ ჩემთვისა არა ხარ მარგი?...

მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელ ქედზედ მორტყმული ვარე,

მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარნი და მამათ არე,

როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,

ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?!.

მოგესალმები, მამა-პაპის მაგარ-სადგურო,

ლიდხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიყურო.

მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
ლიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი.

ვდგევარ თქვენ წინა თავ მოხრილი, ფიქრით მოცული,

ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.

მაგრამ რისთვისა და რათ მინდა მის მოგონება,

რაც რომ ყოფილა, წარსულა და ალარ იქნება,

რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს,

რაც რომ მდიდრულსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?

გაქრი, ლენისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,

ჩემ სატანჯავათ რომ არ მიღეც ჩემ თვალთა წინა!

ვახტანგ ორბელიანი.

ფიქრი მტბერის პირზედ.

ჭარვედ წყლისა პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;

იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;

იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშიდ ვინამე ცრემლით;

იქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;

ნელად მოღელავს მოდუდუნე გრევარი ანკარა,
და მის ზეირთებში ჰკრაის ლაუვარდი ცისა კამარა.

იდაყვ დაყრდნობილ, ყურს ვუგდებდი მე მის ჩხრიალსა,
და ოვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, გრევარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამავოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოვა — წუთი სოფელი,
თუ არაოდენ საწყაული აღუდსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არ ვინდა არის და წინაშე არვინ აღუდეს,
რომელთ ხელთ უპყრავსთ უმაღლესი სოფლის დიდება,
ჰუფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და აღიძვრიან
მშავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თვის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყვევად თვის სახელი შთამომავლობას!

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა პოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ ჰსოჭვას მათი საქმე, ვინ საღლა იყოს?...

მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვემსა მშობლისა.

Արշ կալո զարցա, ու պռցեալո մյալարսա յմեցավսոս,
Ոյոս սուցելլ՛ո, դա սուցելս կո արարա արցոս!

Ենցուղութ ծարաւանցուղու.

ՅՀՈՐԳՎԱ ՄՐՋԱԾՆԱ ԺԿԱՎՈՒՏԱ.

(Մոռուղեքիս ժայռու լույսու)

Ալսլեց զմորտ զմորնո, Եյ զմօնաց, մույրու օմօնան եմանոա,
Ցհմլաւ մոլսա հյուլ րուզո ხար, մոցումե սբխնո յմանոա.
Ահ զնաեօս մույրման մակոնաւ, զժուցեանոտ, զայզեպնցու տմանոա,
Ցարտ Ցհմուղուաւ մատու մուսուլնո, Ցոցտացան ռուսնո մմանոա.

Ցա՛նալոյ գրութ մելլուցելո, Ցուըր մաեցո մույրու Ցարնոա,
Մոյպետա նաեօն ցրուալնո, մոյն մուսկդըս մու դա ծարնոա:
Մոյթդըս մայարո, Ցա՛նան, զու Ցուըրո մյենս ցարնոա,
Ցանչէցան մույրնո հյուլաւ, զասատ սամելո մֆարնո.

Ցանշուրտեց մոլո, Ցյ ալնլեց, Ցտակու Ցուրուլուցալո
Հյունուս,

Ալուլո եղուտա մայարո, մույրու ցանմնեցո Ցունուսա.

Ցոն մոյալու Մյոնո մյուշունո, զուտա մյցուննո լունուսա:

Ցյուշեցամու սուսելուսալու մույրուսա, Ալուկըս յաեցուս լունուսա.

Մույրու Ցին Ցարվոյւցու դուցքի, Սյան ույցալուն ցըլարնա;
Ցուցլուցու պոցուլա ցա ցարետ, ցոն ՑյենՑյել ձակուցեա հա?
Ցարուլութետ սրուղուաւ սալունցետ, մուսա ցէցնունու, դուց ցեարնա;
Ար ցանուցուցեթ, Ցամոննո? Ցոյպետա լումու ցըլեարնա.

აღვიღოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაჩქანთ ჩხერანი.
დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა, უყვარლის ჩვენნი მღერანი.
ცხენი მზათ უდგას გმირთ გმირსა, კაზმული ტურფად მერანი,
არ განიღვიძებს, მოსრულ-არს ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე მრეკლე ჰსცოცხლებდინ, აწცა და უკუნისამდე!
მტერთა თავ-მტეხი მეხისა, მოყმეთა მცველი აქამდე;
აწ სძინავს ბრძოლით მაშვრალსა, და განიღვიძებს დილამდე;
თუ საღმე წარვალს, წარვიყვანს, არა—გაგვიშვებს შინამდე.

ზათენდა დილა, ბატონო, ღრო არის მტერთა დასხმისა,
აღკაზმვა ცხენთა და ჯორთა, და მათი აღვირ ასხმისა;
ჰვეთა თავ მკლავთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა,
უბრძანე ბუკითა ტკრუიალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.

მზეცა აღმოხდა ქვეყანად, მაგრამ ჩვენთვის კი პნელია;
თუ შენ არ ვნახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წასვლა ძნელია:
არ ჩვენ ვჰსცრემლეობთ მარტონი, სტირს შენთვის მთა და
ველია!

დავლეწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რაღდა გვეყრების ხელია.

შიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით:
მიპრულებია ნეტარსა, წარსულ-არს ღვთისა წოდებით.
შევბლავლოთ ცრემლთა ფრქვევითა, თუმცა ისმინოს გოდებით;
აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.

რაღადმე გვეიდავნ ფარ-ხმალნი, უშისოთ ცუდი ბარგია;
დამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწამ შეჰსპამნეს კარგია;
იგი არა გვყავს საჭვრეტლად, სხვა ვიღა ვსძებნოთ ვარგია;
ჸი წარხდი ჩვენო ნუგეშო, ღიღება დაგვიკარგია!

წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი;
ვაგლოვნეთ მთანი და კლდენი, დავობლდით ჩაღმა წოვანი.

ჩვენთანა ფშავნი, ხევსურნი, ყრმანი ჭაბუკნი, მხცოვანნი;
ნუ შეგვშრინ ცრემლნი თვალთაგან და გულთა შისი ხსოვანი.

დაშონენ შას ძენი, ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა:
გმირნი მაშაცად აღზრდილნი, ჰყოვენ კეთილსა ძმობასა;
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანახმობასა;
აწლა გამოვსცნათ, მო ძმანო, ვინმცა იქმს მრეკლობასა?

მუმა ბოჭულაძე.

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
ნუ ლუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკურდი ლია, ოფლით გასკრილ მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ ჩაუანგებული,
ქაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჭრევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკა-პურისა!...

*

ან რა გიკვირს? ჩემს შუბლზედა ლარები,
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული
ნიშანია გულში. ლრმათა ტკივილთა,
დიდთა შრომათ, ლრმათ ფიქრებთა მწარეთა,
შიმედოდ, უნუგეშოდ, ყოფნისა!...

ჟსჩანს, არ იცი, რომ არიან ლარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!...

*

ნუ გიკვირს კი, ჰემს გულში ჩახედო,
ჭაიკითხო სიმწარისა ამბები:
ძმის ღალატი, მოყვასთაგან ღაჩაგვრა,
მეფობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან — წყეული სიყვარული,
ნაზის კელით გულს დასმულნი დაღები!..
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა, რაცა ვიყავ ღდესმე!...
და აწ მხოლოდ დამპუთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუქმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

*

ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა?
სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
მე ვმუშაობ... სხრანი კი იმღერიან,
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!...
ბალით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
ბულით მინდა მეტ აქედამ ხმა მივჰსცე;
მარამ მრცხენის: მე მათი რა ტოლი ვარ.
და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულს ცრემლსა...
მა, ჟის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის!...

*

მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიკაბუკე ტანჯვით შრომაშ წაიღო
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხივა სიხარულით ნათლისა...
*

შეკულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა,
მოკლებული ყოველ-გზარის შეებასა,
ჰაკრა შორის კაცად არ მიჩნეული!

*

რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
შოგჰებული და რა მაქტს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე, რა ვინანო?...
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!...
რათ ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამყა?
ვინ ვადიდო, ვინ დავჰებულო? არ ვიცი!
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება...
რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?...

*

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ მართლა კაციც არა გვინივარ,
რადგანაც ვარ სილარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!...
მაშა მღებული ლაპარაკს რომ დამიწყებს,
შურს რათ ვუგდებ გონება-მიზიდული?...
მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარია მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
ზეციურის მაღლით განათებული.
გულში ჰქონება ღელვა სიბოროტისა...
ვგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ჩხა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...

Հ-Շն զքեցաւ დიღხაնს Ծավա՛՛կյեծոլտա...
Է օրա՛ զքե՛կյեց ჩեմს შობის დღეს, ჩეմს ծედსა!...
Ցանին Շըռամաց დიღად მიაღვილაցება,
Է მას ღამეს მძინաց ისე թՄզიდობით,
Պიտქოს ჩեմს ქռեს დაէցրიնցը անგეլոննո!...

*

Ցանլրեմის ძეզ, ნებոյշած გաზდილո,
Աս ქյ՛պանա Շենտვու արու Շըյմնոլո!
Ցელո Տոմիշանե, Ուս լայպարծո, մնու Շոյի,
Ցախաղեցու և լունելու նուցու,
Ցեն ցերժուան, ցախարցեն, ցաტկծոցեն!
Ցենտվու ձերմինցը Են ու հոնոնցիւ;
Կանո Շըլո հեցու Շեն կըն հոնոնցիւ;
Ցոմուշինան Շենտվու Խլոյանո եռմալոնո,
Կելուցնեბու ցուրտ Տայնչյու մնուցու լունելոնո.
Պատ մեւ, մոշա, ჩեմու ღռնու ուղլուտա,
Ցենտվու ար დაბաდებու մեսեյրած:
Ըոլուտվա զքցու կյիրու ովմին დուրեմաս,
Հոմ մու սխնու ար ցիկոնու Շեն կընուրսա,
Է Շուրու ցմիշը, կընմալու մլուգ Շպալոնիս...
Ցեն եար մեջու... մե մալուածաւ ար մացլոցե!...
Հատա? հուտվուս? ցու հա ցուրտ մուզբարյ?

*

Հալա ցուտերա, նու ույ ցելու ցըր մուշեցու,
Հա մելու Շոյնա լույյմա ձնյրուսա?
Հողոր օծոցն Տոլարությ յաւրու ցուլու
Է անշու սխուս սխուս սխուս, ցոնցեմաս?
ԱՅ, մմազ, Բագու Շեն-Շեն ցնանյ Տոմլուրու...

მე ჩემს ბარგსა როვაორმე იქ მოვიხსნი...

სად მე და შენ ვიქნებით თანა-სწორნი,

საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!...

გრიგოლ ორბელიანი.

ღეღღლიუჩლი.

სდგას მეფის წინა მშვენიერი ვინშე ასული,

მის ტოლი ტურფა ამ ქვეყანას. არვის უნახავს;

მტყვის,-რა გსურსო, შენი არის ჩემი დიდება,

ჩემი სიმდიდრე და საუნჯე შენთ ხელთ იქნება.

ღიძსა პალატსა, თვალთ წამტაცსა მე შენ აგიგებ,

ვერცხლით, ოქროთი, წალკოტებით მას გავაბრწყინებ;

მოგრთამ ძვირფასის ძოწეულით, ძვირფასის თვლებით,

რომ შენნი ტოლნი შენ გიმზერდენ შურის თვალებით;

მარგალიტებით, ღიბით მორთულს მშვენიერს ტახტზედ

შენ დაგაძინებ, გაგალვიძებ ჩანგის ტკბილ ხმაზედ.

უძმო, უდედო მეფის ტახტზედ მე ვზივარ ობლად

მეფე ერისა—ჩემს ჭაბუქს გულს არვინ ჰყავს ტოლად.

მაგრამ მეფის წინ თავ-მოხრილი, სევდით მოცული
სდგას უპასუხოდ მშვენიერი, ტურფა ასული.

— მაშ რა გსურს, მითხარ, გსურს ავისხა აბგარ-აბჯრები

და სხვა მეფებზედ წავიყვანო ჩემი ლაშქრები?

ბრძოლისა ველზედ მოვიპოვო გმირთა სახელი

და იმ სახელით მხოლოდ გნახო ტურფა ნათელი?

მაგრამ მეფის წინ თავ-მოხრილი და სევდიანი

სდგას უპასუხოდ მშვენიერი, თვალ-ცრემლიანი.

— მომეც პასუხი; შენი სახე, შენი არსება
ზაუყრელია ჩემის არსით, თვალთ არ მშორდება;
შენ მე ვერ მიცნობ, მე შენ გიცნობ, ვიცი, ხარ ვინცა,
შენ ვერ მხედავდი, მე გხედავდი, იყავ საღაცა:
მალვით ტაძარში, როცა იყავ ცაში და დმერთან
და დმერთი იყო თვისის სხივით და მაღლით შენთან,—
დარიბს ქოხშია, როცა ობოლს აკვანს ურწევდი
და ტკბილის მღერით და ტურფა ხმით ნანას უმღერდი;
საღმე ქუჩაში მივარდნილში როს ობლებს მშივრებს
ბროლის თითებით პურს უყოფდი, უშრობდი ცრემლებს...
ქმარა, შენია ჩემი სკიპტრა, ჩემი პორფირი,
სამეფო ტახტი, მის უფლება და ჩემი ერი.
ბრწყინვალე გვირგვინს უკეთესი მიკლია თვალი,
შენ ხარ ის თვალი, ქალთა თვალი და დედოფალი;
ნულარ იქნები, რაც აქამდის შენ დღენი განვლე,
ამოდი ჩემს ტახტს, იყავ მეფა, ჩემი მეუღლე!

მშვიდის თვალებით მშვენიერმა შეხედა მეფეს,
წარმოსთქვა: — ჩემთვის ფასი არ აქვს შენს დიდს საუნჯეს!
ჩემი აკვანი სხვა ნანაზედ დედას ურწია,
ჩემთვის მამაჩემს სიმღერის ხმა სხვა უმღერია.
მეფევ, არაფრად მჩანს მე ჯდომაც მეფის ტახტზედა,
თუ მის სიმაღლით არ გაღმოდის მაღლი ერზედა.

და თუ მართლა გსურს, ვიყო მეფა შენის ერისა,
მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია ყოფა ნებისა!
ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ,
შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაგეთ;
შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმღიდრე;
მის სიმღიდრე და მის შრომა მასვე ახმარე;

შერივი ოხერი შეიწყნარე და შეიბრალე
 და დავრდომილი სახლი-არე მას გაუახლე;
 მშიერის, ობლის ცრემლთან, მეფევ, ცრემლი აფრქვიე
 და ის ობოლი გულს ჩაიკარ და მოეხვიე;
 უფსკრულს ჩავარღნილს შიშშილითა ნორჩა ასულსა,
 ძვეყნის ნათელსა, მის სიცოცხლეს გამოკლებულსა
 მიეცი ხელი და უფსკრულით აღმოახდინე
 და ლვთის ნათლისთვის, კეთილისთვის, კვლავ აღადგინე.
 მშურე, მეფევ, მანამ ერი შენ შემოგცერის,
 მინამ მის გული შენთვის სხვერის და შენთვის არის.
 ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოვლე,—
 მაშინ შენი ვარ, მაგრამ, მეფევ, როგორც მეუღლე;
 რად დაგიმალო, როგორც შენ მე, მე შენ მიყვარხარ!

ჰაბუკი მეფე ასულს უმშერს განცვიფრებული;
 მიხვდა მის წრფელი ჯერედ ნორჩი და წმინდა გული,
 რისთვისაც ლმერთმა მას დაადგა გვირგვინი თავსა,
 მიხვდა თვის ტახტის დიდებულის ტვირთსა და ვალსა.
 ნათელთ თვალთაგან გადმოსცვიდა ცრემლი ნათელი
 და იმ ცრემლისა ლმერთი მაღლით იყო მხედველი.
 გახტანგ თრბელიანი.

ბეჭი ქართლისა.

მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
 შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
 ბულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
 საქართველოსა ჭირნი მოადგეს!

მრავალ არიან, შფალო, მტერნი,
და წარიტაცონ შენი ცხოვარნი!
ბვესწრაფე, ჩვენო ხელთ აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!

სა ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაქსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი!

ქართველთა ჯართა ძრწანისის მინდვრად
დაებანაკათ სპარსთა საომრად;
პატარა ძახი პლა-მაჭმალ-ხანს
უპირებს შებმას, ძლიერს, რისხვიანს.

ამ ღროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზედ დანათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
ზანაშნევებდა მამობრივის ხმით:
. „ჰედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა;
დღეს ეჭირება მამულს მნეობა;
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ჩითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამომწყდება, ვინ არს ერთგული,
ჩის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“
. „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“

შებლავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:
„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,
ოლონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!
მტერი, რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰქედავს,—
მისთვის სიცოცხლეს ვინდა დაზოგავს?“
ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით შამას შვილნი,
ზანუცხადებენ თავისს სიყვარულს!

დაპკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეპყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღვანთებს, გმირო შართლისა!
მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს!

შეექმნათ მწარე, ძლიერი ოში;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი;
და მტერსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში ვაქეზებულნი;
სომხეთის გმირნი, ზაფლანის შვილნი,
და მათ მომარცხნეთ ბარათაშვილნი,
ზანუმტკიცებდნენ შკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაუკაცობისას,—
შაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.

რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხმალს ხელი იკრეს მაპა-პაპურად
და დაერივნენ თავისებურად!

შინდმა გაჰყარა მებრძოლნი მტერნი.
შამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
შაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
შას გამარჯვება არღა ახარებს.
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
შრავალთ ყმაწვილთ კაცთ, ნუგეშთა შართლის,
დაჰსდვეს აქ თავი მამულისათვის!...
აწ საფლავიცა არსად არს მათთვის;
ჰაერში განკქრა მათი სახელი,
და უამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰეთარვენ ერთგულთა ძეთა!
შაგრამ, ჭი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის;
შართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
ალა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

გეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ.
ალა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს;
ხომ იცით, ჯარი დიდ ძალი ახლავს,

და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.
ძველადგან ასე ნაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს ჰსჯობია!

შველა ეთანხმა ამაზედ მეფეს,
შალაქს მოიკცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
მქმნათ საკურედ ჯართა შართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად;
ბნელი მოჰტინა ტფილისის არეს:
ალა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერა რა აენო ვერსაით,
დალონდა სპარსთა მეფე ბორჯვნილი
და თურმე ყოვლით იმედ მიხდილი
შართლიდგან წასვლას დააპირებდა;
მაგრამ იუდა უამს ეძიებდა!
აპა მან იყი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აპყარეს მამულს სიმტკიცის ბჟენი;
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
ჸსტნა რა ირაკლიმ ესე სიმუხთლე,
მოყმეთა თვისთა ესდენ სიმდაბლე,
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ-იყო ყოველი ღონეს:
ალა-მაჰმად-ხან, კვლავ თავ-მომწონე,

შემოეპარა ციხისა კართა,
და მოევლინა ქართველთა ჯართა!
გაფოთებული ეძიებდა მის,
ვინცა ჰერანის ტახტს-ხელმწიფებას
შართველთა შორის წაართვა ძალა,
შაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

ნიკოლოზ ბარათაშვილი.

საქართველოს გმირნი *).

მმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაპირებებს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვთენს გასამხნევლებლად,
რომელთა სული მაღალი ჩუპნც მიგვიზიდებს ცად შალლად!

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰერანს ველსა ზედა შთომილი,
რომლისა კუამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მერალი,
მგრედ იქმნების აღხოცილ ამ სოფლათ მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩუპნოს, სადა ჰსცხოვრებდნენ
ძველ-გმირნი?
დრომან შემუსრა, აღვგავა მიწით მათნიცა საულავნი;

*) მს ლექსი მასწავლებელს აძლევს მშვენიერს და მოხერხებულს შე-
მთხვევას, მოწაფეთ უამბოს ცრკვება და მოქმედება ჩვენი გამოჩენილი ის-
ტორიული პირება სა.

შარაშ, ჰსცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!

ძმანო, პატივით მივმართოთ თუალნი
ზასულთა ძველთა საუკუნეთა;—
მათში სახენი ჰსჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმაღიდეთა!...

ეს ვინ გამოჩნდა? ეისი აჩრდილი
დაპმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუ თუ ვედარა უცვნია შვილი,
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?

შენ, ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა,—
და ერთობასა წესი და ძალი!

და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქმა მისი გმირობა
და მის მეფენი—დიდების ბრწყინვით!

ძრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჰუარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეპმუსრავს კერპთა მათის ბომნით!

და განჭერა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ძართულთ მიხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!...

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ჰელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვთ მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!

მსე არს გმირი ის ზორგ-ასლანი;
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდენ,
მისწულნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდენ და შემუსვრიდენ!

ჭეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა
მეფედ მოუცვლენს დავითსა *), ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ჭე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა-მღინარე მეტყუტლსა!...

დავით ჰსონე: „იყავნ ქალაქნი!“ და ოღოსცენდნენ ქა-
ლაქნი!

ზანჰელე უდაბნო ოხერი,—სავსედ დაბებით შეჰქმენი!
დაპარ წერაქვი,—და ოღნიდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან დჟერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!
ხმა-ჰყავ და ოღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,
დიღების სხივით შემოსილ, მშვიდობით აღყუზვებული!...
აღმხედრდი ლაშქრად,—და ილტვის სულთანი¹⁾ შეძრწუნე-
ბული,
შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენის ხმლით შემოხა-
ზული²⁾!

*) დავით აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესა საქართ-
ველი იყო სრულიად გაოხრებული მაპმალიანთაგან.

¹⁾ შამაზის სულთანი გაიპარა შეშინებული მეფის დავითის ჯარის
მიახლოვებითა.

²⁾ მაშინ საქართველოს სამზღვარი იყო: პნი, შამაზია და დერბენდი.

გარსკულავად გვინათს სახე ნათელი,
თუალნი სიაშის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი¹⁾!

გითარუა ღმერთა მშვენიერების,
ძველ-მოქმედების, სახიერების,
გით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
მგრეთ შვენებით მოვალს თამარი!

სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუხნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

მის დროშას მოჰსდევს დიდი მრბელი,
შოთა უკულავი, ბრძენი ჭყონდიდი
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი!

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს²⁾ ლაშქარი;
ქახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით!..

1) ანტონ კათალიკოზის სიტყვა...

2) დიდუბეს ეძახდნენ იმ მინდორს, სადაც ეხლა არის ნემენცების კალონია, მუშტაილის ბალი და მინდორი ავჭალისაკენ:—დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე, რომელშიაც იყო მეორე მისი ქორწილი.

თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის-უხვებით;
ზული მეფისა ზღუა არის, უსამზღუროება წყალობით!...

ზალაშქრდენ, მისწულნენ პარნუსსა¹⁾, ერთის შეტევით მიღეწეს!
ლომებრ მისცივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღუაში გარდავდეს;
ზანვლეს პრეზი, ²⁾ თავრიზი, შაფლანქუ გარდაიარეს,
და მტვერი გაოხრებისა, ლუთის რისხუად შაზმინს თავს დაჭსცეს!

დრონი იცუალნენ... იხილეთ, ძეთევან ნაზად აღზრდილი³⁾
შამულისათვეს იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი!
პორც დაგლეჯილი შანგებით, მკედრზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს. ზეცად დიდებით აღმსულელი!...

ნათელ-გვირგვინით მოჰსჩანან ძახეთის შესნელნი გმირემი,
შლისბარ⁴⁾, შალვა, ბიძინა, მტარვლისგან დატანჯულები!...
ტარიგად შესწირავად მახვილით განგმერილები,
ლმერთს ავედრებენ მამულსა მათ უკანასკნელ სიტყუცბი!

აპა ცხრა ძმანი, სახელ განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმიდა მსხუცრპლი, ცად შეწირულნი,
მრთს ჟამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი⁵⁾)

1) პარნუ ქალაქია, აწინდელი ბზრუმი.

2) ქნ. პასკევიჩმან 1827 წელსა სწორედ ამ გზით განვლია ძლევა-შემოსილის რუსის ჯარითა მიანამდის.

3) ძეთევან დედოფალი.

4) შლისბარ იყო ჩოლაყაშვილი; შალვა და ბიძინა—შენის ერთსთავნი.

5) ხერხეულიძის ძენი, განთქმულნი ჰუკაცობითა, დაიხოცნენ ერთად მარაბდის ომში პირის-პირ შაპაზისა.

პპა ერთ-გული პმილახვარი¹⁾,
თავ-დადებითა მეფისთვის მკვდარი!...
და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი,²⁾
თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!...

პპა სჯულისა წიგნითა პახტანგ სვე-დამწარებული³⁾
სწავლის მოყურარე, მფარველი, გონება ამაღლებული!
უცხოსა ცის ქუცშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩუპნთაგან, ჩუპნთკუი დამიწებული!

პპა ივერის ნუგეშ-დიდება,
თკის დროისა გამმჟვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა მახი, მეფე ირაკლი.⁴⁾

ჭარბ-შეჭმუხხნილი, კმალ-კელ მოწვდენით,
პაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
მრთის შეხედვით, მტერთა შემუსრვით,
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

¹⁾ მრთმა ზედგინიძის გვარისაფანმა გააფრთხილა მეფე (ვეონებ, ზიორ-ვა IX) შეთქმულობაზე, რომ ღამე მოკვლას უპირებენ. მეფე არ უჯერებდა. ზედგინიძე თავის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გადრჩენისათვის დაწვა შეფის ლოგინში, რომელშიაც იმავ ღამეს მოჰკლეს და აჰკუწეს შემთქმელთა. ამ თავ დადებისათვის ზედგინიძის გვარულობას მეფემ მისცა ამილახორიბა, რომლისაც შთამომავალნი არიან ეხლა ამილახერიანი.

²⁾ მსენი იყვნენ ერთ დროს გვარად: ღრბელიანი, ბარათაშვილი, პნრლონიკაშვილი-კუჩიანი და ბოროტის შვილი მაჩაბელი. მეფე ერეკლე ილყოდა: „თითო ზაალ ღირს თითო ჯარად“.

³⁾ მეფე პახტანგ მარხია პსტრახანში.

⁴⁾ ქახელები ეძახიან მეფე ირაკლის პატარა მახად; სიმღერაშიაც მა-ინსენებენ: „ბატონი მეფე ერეკლე, ჩეენი პატარა მახია“.

დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს!
მამული ვეღარ იხილავს ირაკლის კმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

მეფისა დროშით სად მიხვალ, ჰე ლევან¹⁾ სულით ნათელო?
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე დაბნელებულო!
მსახუმარებლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შეჭმულო!...
შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს, ლომ-გულო!

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძო-
ლისა?

მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად შეურლისა!
ოც-და-რვა დღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
ზავირდა... ციხე მისუსტდა... სად არის კელი მხსნელისა?

ორასის მხედრით სოლომან,²⁾ ოთარი და რატიშვილი,
ნოდარის ქენი და ბოსტა,³⁾ დავით⁴⁾ და ბებურიშვილი

1) მეფე მრეკლეს შვილი, მაღალ-გონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა
ამას დიდ-ვაჟკაცობისათვის თავის ბაირალი და ორი ათასი გამოაჩნილი ვაჟ-
კაცობითა მხედარნი; მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგი ჯარი (იხ. ბუტ-
კოვის ზაპისყა). ამბობენ, ვითომც ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ, (ნა-
თევამი თ. პლ. ვ—ის მრბელიანისაგან).

2) სოლომან და ოთარი იყვნენ ძმანი შვაბულაშვილნი.

3) მეფე მრეკლეს, ძალიან დამარცხებულსა ბლაზნის პირზე ჭარელები-
საგან, დაუდაგა დაღალულობით ცხენი. მეფემ სთხოვა შიზიყის მოურავს მამაზ
ბნდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: „ბატონი, შემომიჯვექით და
ორნივე ერთად მოვრჩებით, თორემ მტერი ახლო მოგვდევს“. „შენც შე-
გარაცხვინა და შენი ცხენიცა“, უპასუხა ბატონმა. ამ დროის მოადგა ყმა-
წველი კაცი, ჩამოხტა ცხენით და მოართვა მეფეს; და ამით მეფე მორჩა
განსაცდელისაგან. მს ყმაწველი კაცი იყო ბოსტა, რომლის გვარი მეფისა-
გან გაახნაურშვილებული ეხლაც არიან ბოსტაშვილები.

4) დავით იყო ბარათაშვილი.

ზაჩნდნენ... დაჲ კივლეს... ხმალ-და-ხმალ, შუა გააპეს ლეკო ძალი,
და გამოიხსნეს მბრწყინავი ძახეთის თუალი შვარელი!

ზუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსხანან მამულის მფარველნი!
ზოგნი აზატის დამმხობნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!
აი ასპინძის გმირები, ღირსებით თაყუჩან-ცემულნი,
რომელთ შეჰქებეს მტრის სისხლით მტკურის ზვირთნი აღე-
ლებულნი!

აი სამისნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი ¹⁾
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვე, შეფიცებულნი:
„თუ გაგვიშურება დმერთი და ვერა განვჭიდევნეთ მტრის ძალი,
მყოს შერცხვენილ, ვინც ჩუბნეან შინა წავიდეს ცოცხალი!“

და გარდიშერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებზ ხმალი იშიშვლეს...
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეჭირეს... გაჭფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს!...
შიცი ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკუდილით შემოწმეს!...
ზმირნო, მამულის მადიღნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება.

თქუცნთა სახელთა ამაყად წარმოსთქუაშ შთამომავლობა!
თქუცნთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი კვალსა მიჰსწუდება!

გრიგოლ ორბელიანი.

1) სამისნი არაგველნი მოვიდნენ თფილისს დუშეთილაშ აღა-მაჭად-ზანის
შემოსელის დროს, შეჰქიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი
ომიღდაშ. მსენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და ქარწანისის ბა-
დებთან დაიხოცნენ, (ნათ. თ. ბლექ. ვას. მტბელიანისავან).

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეპილესიაში.

შენს წმიდას სახეს,

შვენებით სავსეს,

სახიერებით განსხივებულსა,

პუმზერ კრძალვითა,

თაყვან-ცემითა,

ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

მიხარის, — გიმზერ!

ვჰსწუხარ — და გიმზერ

და ესრეთ მზერა მსურს სიკულილამდე,

არ გამოვფხიზლდე,

რომ აღარ ვჰგრძნობდე,

ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!...

შვავილოვანი

წალკოტი შენი,

შენის დიდების სხივ-მოკლებული,

აღარა ჰუვენის,

აღარ გვიბრწყინვის

შავ დროთა *) ძალით ფერ წახდენილი!...

და ვით წასულსა,

სიზმარსა ტკბილსა,

*) შემოსულა ლანგ-თემურისა და შაპაბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩვენი ქვეყანა: ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა-

მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა,

პირონებთ შენს დროს,

ბული გვიმაგროს,

სრულად არ წავსპილდეთ ცის შემრისხვნი!...

ნით დამაშურალი,

დაღონებული,

შენადვე მეფევ, მოველ ვედრებით:

მოხედო ბედ-კრულს

შენს სატრფოს მამულს,

და ჯვარით *) შენით აკურთხო კვალად.

შენი ივერი

აღსდგეს ძლიერი,

და დადგეს ერად სხუათ ერთა შორის

შმიდით საყდარით,

ნით მდიდარით

სწავლისა შუქით განათებული!

ზე ამაღლებით,

ძლევის დიდებით,

სამშობლოს მიწის სიყვარულითა! —

და გაგვიცოცხლდეს,

რომ კვლავც მოგვესმეს,

სიტყვა ქართული რუსთაველისა.

*) როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თვით აკურთხებდა მას ჯარსა ჯვარით.

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და გაჰქრეს ბნელი უმეცრებისა!...

მარამ ცალ თუალნი,
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა მიღებულსა,
გედ დაკარგულის ივერიის ძეს!...

გვეთ აღვისილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!...

ვა თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღვისდგეს,
ვეღარ აღყუვდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა,
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხუცრპლი?
...ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩუპნი,
ცალ სხივ მიმფენი,
ნუ თუ ესლა გზაქვს, ვჰედავ რასაცა?
დაყრუებულსა,

გზა-შეუვალსა,

უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,

სად სახე მეფის,

დიდის თამარის

ჰსჩანს ძველს კედელზედ გამოხატულა!

გრიგოლ ორბელიანი.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

იყო ობოლი, ობლობაში აღმოიზარდა;

იმ ობლისათვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა.

მაგრამ ზრუნავდა იმ ობლისთვის ღმერთი მაღალი,

მას მაზედ ჰქონდა მიქცეული მოწყალე თვალი.

დალოცა, ბრძანა: აღვსილ იყავ ჩემის მაღლითა,

სული უმანკო გეგზნებოდეს საღმრთო ალითა,

გქონდეს ნათელი, წმინდა გული, ბრძენი გონება,

ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა;

აზრი მდიდარი, ენა ტკბილი, სიტყვა დამწველი;

დიდების სხივით შეიმოსოს შენი სახელი,

და მან სიტყვამა და სახელმა ანათოს ლამპრად,

შენის სამშობლოს შვილთა გულნი აცხოვლონ მარად.

აპა ობოლი, არვისა აქვს მასთან ერთობა;

გოძმებში მარტო, ცასთან, მთებთან, ზღვასთან აქვს ძმობა;

იგი მათთან არს, მათთან სცხოვრებს და მათთან უბნობს,

თავის ობლობას, მარტოობას ის მათ უამბობს.

შესცეკრის ცასა, ელვარესა, მზით ანთებულსა,

ზღვაზედ და ხმელზედ ღიდებულად გადმოკიდულსა.
ცას გაბრწყინებულს მთვარითა და ვარსკვლავებით,
ცას დაბნელებულს და მგრვენავსა ელვით და ჭექით;
მთათა და მათ წვერთ, ცამდის ასულთ, უზარმაზართა,
თოვლის, ყინულის, საუკუნო ტახტთა საეტაკთა;
მათ ხეობათა, ვაფურჩქვნილის ტყეებით მორთულთ,
დაბლა თვის ფეხ-ქვეშ ბნელთ, წყვდიადთა, უძირო უფსკრულთ.

აპა ობოლი გარდავიდა მთასა და ტყესა,

მიღის და მისდევს ზღვის კიდესკენ დიღს მდინარესა;

ნახა შავი-ზღვა, ლურჯი, წმინდა, მიძინებული,

ჰით ყრმა დედის გულს, თვის კიდეზედ მისვენებული.

შრმას ძილს სიჩმარნი, უცხო, ტკბილნი გულს უხარებენ,

ზღვას მიძინებულს სხიენი მზისა უალერსებენ;

მზე მას დასკერის და შაზედა სხიეს ათამაშებს;

შრუელი, უსამზღვრო მკერდი ზღვისა ბრჭყვინავს, კაშკაშებს.

მიღის მზე თვის გზას და ღიდებით ზღვას ჩაესვენა,

მყუდრო სალაშო, გულთ საამო მას მოეფინა;

მთვარე, ვარსკვლავნი, ლამის მნათნი ცაში გაბრწყინდენ

და თვის დიღს სარკეს, ზღვის უსამზღვროს გულს ჩაცქერდენ.

და მას სარკეში შთაიხატა ზეცა მეორე,

როგორც მალლა ცა, ვარსკვლავებით, მთვარით ელვარე.

შაგრამ მოესმა ობოლს შორით გრგვინვა საზარო;

იმუსრებოდა, ინგრეოდა თითქოს სამყარო.

შეიძრა მძიმედ ზღვა თვის ძილში, დაიღრიალა,

ზანრისხებულმა ზეირთებით და ტალღით იელა.

და შეიმოსა იმ ზეირთებით და იმ ტალღითა,

როგორც მხედარი მეომარი აბჯარ-აბგრითა.

ალსდგა ვეშაპი, მთლად გაშავდა და დაიკლაკნა,

Ամստուն մտա-ծարտ սա՛մոնցը ուզու գուգու յեն;
Եպիշխ, Ֆյուխ և գրագունաց և սահարութ է կայնցը և ճա Յեղալու քամի,
Ֆոր-վայ և պայման նացը և, Ֆլութ եռմալութ և լու պայսակուլ մու Ֆնտյամի,
Ուզու ածջարուտ, մտա-նուրութեատ, պայման տացու կուգու,
Ուզու սայսպանու, մացար դարաց, ուզու սաձպութեալու.

Չկա-օվայա, Ֆու՛մուն կայնցուտ և մալու օվայա
Ճա աելու մալուտ և լրուալուտ կալավ ճասպայման նուրութեատ,
Ֆլութ, հոմ ցանու և ցացլուց ուզու սաձպութեալու,
Պմու ճապայու Ծպայութամու Շմերտուան մուզալու.

Մացրամ ու մու՛մուրադ ու զաս նուզասա Ճուլենուդ մզելու,
Թմայնուրու ասուլու, մզելու ցանտիմուլու մուշ-մանպելու,
Թմայնուրու կարպել-եցու, սապակուլու Պալմանուսա,
Ժզելու մզեյան ոյնու ցրացու և ծունդուսա.

Պանու Ֆյուրունու, ռա առս Ֆյուրունու մալուտ Շատու նյեա,
Նաւ Շեյունիւց մու ոյսամեծավոր գուգու յմնութեա?

Ժզեյան լմերտու, մուշ-յա յմուրտ, յլլունտ մամուլու,
Թմայնուրու եռլուտ ճանցրուլու և ֆամեթուլու,
Շունու օյզանու, գունու կարավ ցանտուլուսա,
Շունու սամանուլու Ֆումերու և Ռյամու Ծուկուլուսա,
Շեն Շեյուց և Շեն օմեյ օցու ոնուլու
Ճա Շենտ մետ Սիւցլուտ և մատ սունդմնուտ ա՛Շ Շեմյունուլու.

Շկայ կածուկու նուզաս մանունու և նացու ոյմներու
Շունու ըստ սամանուլու և սկըրտայսա Պալմանուս Շվերու:
Շմեյրու և ուցալուտ մատ Շեյնենու զելար ամուրուս:
Սամանուլու մուշ-յա ոյսամեծավորու, ցուլու օմուրուս.
Թագմունտու, մուշ-յա ոյսամեծավոր և տապայան և պա
Ճա մաս յիման, հոմ ման մուշ-յա մու ցուլու եմա մուսպա.

შავიდა, მიღის, აჰყავა მასვე დიღსა მდინარეს,
უმზერს მთა-ბართა, თვის საყვარელს სამშობლო მხარეს..
ნახა: აქ კლდენი, ფრიალონი გზათ იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი, დანგრეულნი კვალად სდგებიან,
იქ გზას უჭრიან ღრე-კლდებში მთებით ბარს რუთა,
აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ-სადგურთა;
იქა ტაძართა, დიდთ პალატთ და მაგარ ციხეებს,
აქ მდინარებში სდგმენ დიდთ კედელთ, ზედ სდებენ ხიდებს;—
მსმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,
ზექა ნაღმისა და საამო ხმა სიმღერისა;
ნახა, სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად სდგებოდა,,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.
ღიღების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მოღიმარი.
მისი სიტურფე, მის სინაზე, მისთ თვალით ნათელი,,
იცერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი.
მაშინ აღმოხდნენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, თით ნაპერწყალნი,
აღმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი.

მეფე-შვენება ზის თვის ტახტზედ ფიქრით მოცული,
თლილსა თითებში მას უპყრია დიდი რვეული;
ბროლის მკერდს-ქვეშა წრფელი გული ძლიერად უძგერს;
ღიღებულთ კრება ტრფიალებით თვის მეტას უმზერს,
ჰკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს და მის შვენებას,
მღის მის ნაზს ხმას, მის ნაზს ღიმილს და მშვიდს ბძანებას..
ბძანა: მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები.

მოჰვარეს იგი: არს კაბუკი და მშვენიერი,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს მაღლი ციური:
ზონების სიბრძნე, სულს სიმშვიდე და გულს წრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა.
მეფე-შვენებამ გადაავლო თვალი ნათელი,
არ გამოჰკითხა მას არც გვარი, არცა სახელი,
უბრძანა მხოლოდ: ეს ლექსები გულს ვით ჩაგნერგდენ,
ზულთა დამწველნი, ვით ამოხდნენ, ვით დაიწერნენ?...
— დიდო, მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა მშვენიერმა სახემ შთამბერა.
ნათელი მეფა მას უმზერდა ტკბილის ღიმილით,
შთხრა: ეს ლექსინი, შთაბერილნი გაქვს შენ ცით მაღლით.
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება,
ჩემი სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება.
შინ იყო ისა და რა იყო იმის სახელი?
ის იყო შოთა, დიდი შოთა, რუის-თაველი. *)

3. მ.

*) ემ ლექსის დამწერს ხშირად გაუვონია მეფის ქრეკლეს ასულის თეკლესაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წ., რომ საქართველოს სამეფოს სახლში ძველ დროთაგანვე სიტყვიერად შემდეგი გარდმოცემა იყოს: შოთა-რუსთველი ყოფილა ობოლი, ტომით მესხი, სოფლის რუის-თავიდგან, რომ-ლის სახელითაც იმ დროებში უწოდებიათ მისთვის რუის-თაველი, შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილი რუსთაველად. შოთა ყოფილი მშვენიერის სახის კაცი.

გ ე ფ ე

დიმიტრი თავდადებული.

1.

,, შური მიგდეთ, გეტყვით ამბავს უტყუარსა და მართალსა: მრთი მეფე თურმე ჰყვანდათ უწინ ჩვენ მამა-პაპასა. დიმიტრი ერქვა სახელად, მხარ-ზეჭ-პრტყელი, ტან-მაღალი, ჯირითში, თუ შვილდ-ისარში არავინ ჰყვანდა ბადალი.

ქაცი იყო, მეფე-კაცი, თვალიად, ტანად მშვენიერი, ზარედ რისხვით მტრისა მსვრელი, შინ მოწყალე, ღვთისნიერი. დამით თურმე ჩაიცვამდა უბრალო კაბა-ჯუბასა, წავა და ინახულებდა საწყალის ხალხის უბანსა;

მოივლიდა ქერივს და ოხერს, დავრდოშილსა და ობოლსა, თავის ხელით ურიგებდა მოწყალებას და საზრდოსა; შის რაც გულში დარდი ჰქონდა, წავა, იმას შეჰსჩივლებდა, ზლახის, ობლის, ჩაგრულისას სარჩლსა არ ითაკილებდა.

შველგან იმის სამეფოში თხა და მგელი ერთად ჰსძოვდა, მრი, ბერი, ობოლ-ქვრივი სულ იმის დღეს ლოცულობდა.

,, მის ღროს იყო ყეინობა, მეფე ყეინს ჰმოარჩილებდა, მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს თვის ნებაზედ განაგებდა.

მრთხელ შეინს აეშალა თათარივე კაცი ერთი, იმბლავრა და გაღიყენა ნახევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი შეინს თურმე არ გაღუდგა სხვასავითა... ვაჟი-კაცის წესი არის, კაცს შერჩება ძალასავითა.

შეიძნენ და შეიჭიდნენ შეინი და გადგომილი;
ქმას ქმის ძვალი ატეხინეს, მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს შეინი, გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო სათათრეთის ბატონობა.

ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც ცხენსა კულით ათჩევინა,
საცა კი მის მომხრე იყო, თავები დაყრევინა.

2.

ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზედ... „რატომ მე არ მამიდგაო,
იმას ცოცხალს არ გაუშვებ, თუ პირში სული მიდგაო“

ბაუგზავნა მოციქული,—; გამოცხადდი ჩემ წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას ნაცარ-ტუტას ავადენო.“

დაგვიღონდა მეფე ქველი, მიხვდა იმ ურჯულოს წალილს,
ისიც იცის, იმ ღვთის-რისხვის ჯართ სიმრავლე შევწევს ქადილს.

რა ჰქნას? თვითონც მამაცია, მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს, კლდეც რომ იყო, გაგტეს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს, შეუდგა რჩევას, ბჭობასა...
— „წავალ, მომკლავს, და არ წავალ, ამიოხრებს ქვეყანასა“.

ბოლოს ბძანა: „თავს მოვუყრი მღვდელთ-მთავართ და
დიდებულთა„,,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო წესია მეფეთ ქებულთა.

„ვნახოთ ერთი რას მეტყვიან, წასვლას, თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, მეფის თუ ქვეყნის დამხობას?“

ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ დიდებულნი, მღვდელ-
მთავარნი,
გეზირნი და ნაზირები, ბჭე-მღივნები, სპასალარნი.

ჭალგა მეფე კრების წინა თამაშად და დიდებულად;
ჟველამ დიდმა და პატარამ თაყვანი ჰქონდა გმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძლეს იმის ქვრეტით, ყურებითა.

უბრძანა თუ:— „დიდებულნო, საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა,
ის დღეა დღეს, ან მე ვიყო, ან ჩენი ტურფა ქვეყანა.

„შეიტყობდით, მომივიდა შეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს ჩემზედ გაბოროტებული.

„თუ არ მოხვალ, მე მოვალო, აგონხებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო, ავადენ ნაცარ-ტუტასა.

„თუ წავედი, თქვენც ხომ იცით, მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ: მართალი სთქვით, მართლის თქმაა ერთ-
გულება.“

3.

დიდებულნი წინ წამოდგნენ ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიღნენ და თაყვანი ჰსცეს, აემლვრიათ მწარედ გულნი.

— „მეფე! ნეტა რა გვიბძანე, რა ასმინე ყურსა ჩენსა!..
თუ შენ მოგვალენ, შენს სანაცვლოდ რალა დარჩეს ერსა შენსა?!

„თუ შენ ალარ გვეყოლები, რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩენ შენისთანა დიმიტრი სხვა არვინ დაგვებადება.

„მოვიდეს, რომ იმუქრება ის ურჯულო სისხლის მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების შენი ერთგული ქართველი.

„მტრის მუქარას ერი შენი, გვითხარ, როდის გაჭჭევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ შართლს უკან დაუწევია!

,,ბძანე და იმ მუქარასა ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ, ან მეფისთვის თავსა დავდებთ.

,,სირცხვილია ერისათვის, თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ ერსა შენსა შემნატვრელსა.

,,ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს, წამყოლს შვილის—
შვილამდიე...

აქ მოვიდეს, მის დახვედრა ამ ჩვენს ქედზედ დააჭდიე.“

ახლა წალგა სპასალარი, ,,მეფევ, რაც სთქვეს მართალია...
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!

,,თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვერტყვის, რით ჩავრეც-
ხოთ ეს სირცხვილი?

არა, მეფევ! მამებს უთქვამთ—,,სახელიო ან სიკვდილი“.

ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძთ, სირცხვილისგან დაგვიხსენი!
მეფეს ვფიცავ,—მამა-პაპებრ, დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი“.

ბატონშა თავი ჩაჰებიდა გვირგვინოსანი, ცხებული,
დიღხანს იყო დალონებით ეგრე თავ-ჩაკიდებული...

4.

ბოლოს ბძანა:—,,ეს ქვეყანა ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს, მითხარით რა მაღლი არი!

ათი ერთზედ რომ მოვიდეს, მუქარას მტერს შევანანებ,
რა ვქნა,—ასი ერთზედ მოვა, ამას ვწუხვარ და ვვალალებ.

ჩვენი კაცი ერთი ასსაც, ვიცი არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს, ხალხი ურგოდ გამიწყდება;

ბერმე უკაცურს ქვეყანას დაპირის ქვეყანას, დაპირის ქვეყანას; ხაყდრებსა და მონასტრებსა და ქვეყანას, მიანგრ-მოანგრებს:

ხატებს, მამათ სალოცავსა წამურტლავს და შეგვიგინებს; ამოილებს მკვდრებს საფლავით, ძალლსა და ღორს ათრევინებს;

ძალწულ ქალზედ ძალით მივა, წაპილწავს, ნამუსს დაუმხობს;

ორსულ დედა-კაცებს კიდევ მუცელსა ხანჯლით დაუბობს;

დედას თავის ძუძუთა შვილს კბილითა დააგლეჯინებს; შსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის და ზედ კალოს ალეჭინებს.

,,ამდენი სული უბრალოდ ტანჯვითა ამოწყდებიან; ხაწყალის ხალხის ცოდვითა ქვანიც კი ატირდებიან.

,,ქვეყნის ამოდენა ცოდვა ჩემს თავზედ დატრიალდება, წაწყმდება აქაც და იქაც დიშიტრი მეფის ხსენება.

,,მს სულ რისთვის! მარტო მისთვის, რომ მე შიშა გავექეცი, ჩემი თავი გადეირჩინე და ერთ კი წყალს მივეცი.

,,მე მეფე ვარ და მეფობის რიგიც ვიცი, რაში არი... ფუ, იმ მწყემსა, თავს უშველოს, მგელს გადუგდოს თავის ცხვარი...

,,სირცხვილს ამბობთ, — რა სირცხვილი? მე ვეძლევი ნებით მტერსა, ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

,,თუ სიკვდილი სახელად გაქვთ მაგდენს ჩემთვის ერთისათვის, მაშ რად მიშლით თავ-დადებას მე ერთს მთელის ერისათვის!...

,,არა! წავალ, არ დავდგები, დე ასრულდეს ნება დვოისა!“ ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს მეფის თქვენის დიმიტრისა.“

5.

— „შენ რას ბძანებ, მღვდელ-მთავარო? სიტყვა შენი გვი-
ლირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის მეფეს თავი გასაწირად?“

ატირდა და მოახსენა: — „ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს...
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის სული მიწუხს, გული მიტირს..

„მეფევ, უნდა თავი დაპირი ერისა და ქვეყნისათვის,
დმერთს შეჰსცოდავს, ვინც გამკიცხავს მე ამ მწარე რჩევისათვის..

„მეფევ, რა კი ბედმან დაგდო შენ ეს მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს სიყვარული ბატონ-ყმური...“

„ვპირ და გირჩევ თავ-გაწირვას, რაკი რომ ეს დღე
გვეწია, —
მოყვასთათვის თავ-დადება შრისტი დმერთის ანდერძია.

„ვსტირ და გირჩევ დვოის სახელით ხორცი დაპირი
სულისათვის,
შკვდავება არ დაჰკარგო წუთის სოფლის გულისათვის!“

მეფეს ძლიერ მოეწონა მღვდელ-მთავარის სიტყვა ბრძნული:
წარსდგა ისევ კრებულის წინ უფრო გათამამებული.

— „დიდებულნო, ხომ ისმინეთ, რაც პისთქვა წმიდა მღვდელ-
მთავარმა!..

მოყვასთათვის თავ-დადება გვიბრძანაო მაცხოვარმა.

„ნუ გადმიყვანთ დვოისა სიტყვას, ერს მეფე ვერ ვუღა-
ლატებ!
წავალ და თუ დმერთს პსწალიან, ერისათვის თავსა დავსდებ.“

„,მე წავალ და ეს ქვეყანა ოქვენ უნდა გებარებოდეს,
ლარიბს ისე მოუკაროთ, რომ მდიდარს არ შენატროდეს;

გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს მაღლი თანასწორ
მოპოვინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

„,თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს გადაგიხდით ორად
ერთსა,
თუ არა და სული ჩემი შეაველრეთ მაღალ ღმერთსა“.

პტირდა და აატირა ყველა კაცი იქა მდგომი;
ზულის სილბო სიტურფეა, თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაჟ-კაცს ის ამშვენებს, როცა გულითაც ლბილია;
ჰყინის კაცის თვალში ცრემლი დიდ-სულოვნობის შვილია.

6.

ბძანა და მსწრაფლ დაიშალა დიდებულთა იგი კრება...
უხმო მხლებელთ და უბძანა წასასვლელად მომზადება.

ჰსოჭვა და ურდოს კიდეც წავა მეფე იგი უშიშარი,
თქმულა, გმირის კაცისათვის თქმა და ქმნაო ერთი არი.

გაათავეს სამზადისი და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჭინჭველა ფუსფუსებდნენ შინა-ყმანი სასახლისა.

სხა გავარდა ქალაქშიაც, „მეფე ჩვენთვის ჰსდებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა, ვერ ვუღალატებ ხალხსა.“

ჰეიძრა მთელი ქალაქი, ხალხი ეცა ერთმანეთსა;
მოზღვავდა, დაიგრიალა და მიაწყდა სასახლესა.

მივიღნენ, ნახეს მზად არი რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით მოედანი სასახლისა.

წინად ბარგით გაეგზავნათ: ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალტად იყო ტურფად კაზმულ, დარახტული.

გამობრძანდა ბოლოს მეფეც, თან გამოჰყვნენ დიდებულნი,
შმალ-კაპარჭით გაწყობილნი, სამგზავროდ გამზადებულნი.

მეფეს ახლდა მხარ-მარჯვნივა გულ-მწუხარე მღვდელ-
მთავარი
და მხარ-მარცხნივ შუბლ-შეკრული ჯავრით სავსე სპასალარი.

მღვდელ-მთავარი ჰესწუხს და ვაებს მეფის თავ-გადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს უომრად დამარცხებასა.

ხალხიც დაპევდა თავის მეფეს ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა მათთვის გულის-ტკივილითა.

„შბძანა თუ: —,,რასა ჰწუხართ? იქნას, რაც კი საქნელია!..
,,მრისათვის თავ-დადება მეფისათვის სახელია.

„,,რაც მომივა, მომივიდეს, მე იმისთვის არ ვინაღვლო.
,,თქვენ კირს დაგხსნით... დეე ვიქმნე მე ქვეყნის კირის სანა-
ცვლო.“

ხმა ჩაუწყდა, ვეღარ რა ჰსთქვა, მოეგუბა თვალში ცრემლი...
თქმულა, ქვასაცა მაგარსა გაჰსტებს ტყვიის ლბილი გრძემლი.

მოუმატა ხალხმაც სულთქმა, ხმა გაისმა ქვითინისა,
შულსა ჰკლავდა. გლოვა ვიში ობლისა და ქვრივ-ოხრისა

უცემ მეფემ თვალი მოჰკრა, ხალხი გაირლვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერი კაცი მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
5

მოპყავთ კახუახით, ხანხალით ჩაჩანაკი და ბებერი,
მკერდზედ სცემდა თოვლივითა მოხუცებულს თეთრი წვერი-

ბოვიდნენ და გააჩერეს ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხლნენ, თუმც ყავარჯენს დაეტჯინა.

ის ამ ქვეყნის აღარ იყო, ფეხი ედგა სამარები,
მაგრამ მაინც კი უცემდა აღრინდელი გული მკერდში.

მოახსენა:—,,ჰე, მეფეო, ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა,
მე ხომ მხედავ, გარდავსრულვარ, სამარიდამ გაძლევ ხმასა.

,,მეფევ, კისრად აგილია ტვირთი ჩვენის შავი-ბედის,
ბედის წერას მიჰსცემიხარ უბედურების ჩვენის ქვეყნის.

,,შიცით, რომ არ შეშინდება გული მეფის ღიმიტრისა,
როცა ნდომობს თავ-გაწირვას დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.

,,მაგრამ ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ, მეფეო, შენთ დამ-
კარგველო? მამობასა ვიღა უზამს შენგან დაობლებულ ქართველო?

,,მრს ოფლის მღვრელს და ტვირთ მძიმეს ჭირსა ლხინად
ვიღა გვიძევს? ჭუთის სოფლის მძიმე უღელს შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?

,,ამას ესტირით, რომ მიღიხარ და თობლებ შენსა ერსა;
ჩვენს ბედსა და მშეიდობასა ვეღარ მოუმართავ ხელსა;

,,ჩემებრ უძლეურს, გაჭირებულს მწედ ვეღარ მიეშველები;
დარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს პატრონათ არ ეყოლები!...

8.

,,ნუ სწუხართო!.. განა, მეფევ, ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს, მაინც დასდნეს ამებრ ცეცხლში ჩაკლებული.

,,ბულს რად გვიკლავ? რად მისდიხარ? ნუ თუ, მეფევ, ხსნა არ არი!

შუღზედ კაცი დაუძახე, მოაგროვე სპა და ჯარი.

,,ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ, ვინც კია, ყველა დევია...

ბევრჯერ უნახავს ქართვლის მტერს, რომ ცოტაც ბევრის მძლევია.

,,აპა, მეფევ, ორი ბიჭი, მხრებში რომ ამომჯდომია, მრივ ჩემი შვილი არი, ერთი მეორის მჯობია,—

;,მიირთვი და ინაცუალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!.. თმში, მეფევ, გაჩვენებენ, რა ლომებს ზრდის ქართვლის ბუდე.

,,შეჰქრიბე დიდი, პატარა, გაუძებ წინამძლოლათა, მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ დგეს, დედა შეერთოს ცოლათა!

,,ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ, ბევრი რამ გარდაპხედია, მაგრამ უომრად მტრისა წინ არ წაუხრია ქედია;

;,ნურც დღეს ვიზამთამ საქმესა, უომრად ნუ დავმარტლებით; თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცენეთ სახელითა და დიდებით!“...

„ბრძანა:—,,თუ, ბერო-კაცო, მესმის შენი ერთგულება... შაბაშ ქართველს!... გული თურმე სამარემდე გულათ ჰრჩება,

,,მაგრამ გეტყვი, ჯარს არ შევკრებ, არ ვინდომებ სისხლის ღვრასა, მარტო ჩემის გულისათვის მტერს არ შევაკლავ ათასსა.

,,ჩვენის ქვეყნის შავი ბეტი როგორც ტაროსი იცვლება, დრო მოვა და თქვენი თავი უფრო მეტად დასჭირდება.

,,შე ერთი ვარ, თქვენ მრავალი, გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა;

თუ თქვენ შე არ გემეტებით, შე რად გაგიმეტებთ თქვენა?..

,,განა თვითონ ძრისტე-ღმერთსა გადარჩენა არ ძალედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა...“

9.

,,მაშ რად არის მეფე მეფედ, თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?...
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის, ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.“

,,არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შეჰსწი-
როს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.“

,,არ დავიშლი, ვსთქვი და კიდეც თავი უნდა გავიშირო,
ისე მოვჰკვდე, რომ ჩემ გამო დედა შვილზედ არ ვატირო.“

,,შავალ მეთქი!... თუ ღმერთს უნდა, მოხდეს იგი, რაც
მომელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება საყვარელის ჩემის ქვეყნის.“

,,მა, რაც ჰსურდა, არ დასცალდა ჩემს წყურვილსა სუ-
ლისასა!...
აწ იქმნას ის, რაც ჰსწავიან განგებასა უფლისასა.“

,,თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ ხოცვა, ულეტა, სრვა
და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება თქვენი ლოცვა და კურთხევა...“
ილია ჭავჭავაძე.

რამდენიმე სურთო ყაჩაღის ცხოვრებიდამ.

სამშობლოს კასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეჭარი გადაეფარა,
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.

დაძის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი,
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა;
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი.
იმის სხივებთან მუსაიფობდა.

შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ლამეს მხიარულებდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროლნენ, ზედ დაპხაროდნენ.

და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს შვერიერსა ჩიჰსძინებოდა;
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაჟდანდარობდა,
და ალაზანი შეუპოვარი
ჩიოდა, თითქოს კაცს ემდუროდა:
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.

შველის ეძინა, დლით ფეთქავს რაცა,
თითქო დალლილა მიწაც და ცაცა,
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
გიკრიალებდა, გზას ალვიძებდა,

და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა.

ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰპერს დაჩაგრულს,
შკუჭყრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი.

მიდის ურემი და უეცრათა
ვიღამაც ტყიდამ ასკუპა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მეღვრათა,
მჭუნვარე სახის ამაყად მჩენი.

— ვერ მიმარტავლებ ძუდი-გორის გზას?
ჰკიოთხა თამამად მან მეურმესა.

— რატომ ვერ, ძამო! აგრე აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
მრთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადექ, წალი, და როცა
ცხვირ წამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება ძუდი-გორაცა.

იქ რა გინდა შენ? ჰკიოთხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება:

იქ საფრხე, ძამო, არ დაგემართოს,
ბლავიაშვილი უკი იმყოფება.
მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც, თუ გებრალვის თავი,
ბლავიაშვილს ნუ დაენახვები;

ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი მართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
შეც მისებ, ძამო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელალებული!

და რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
შოსხლიტა უცებ ლაზათიანშა;
გაფრინდა ცხენით, ვით შავარდენი,
და მის ფეხის-ხმას ხმა მოჰკურა მთამა.

თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ წაიღუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუდუნა.

კუდი-გორასთან ერთი ტყე არი,—
უწინ ყაჩალის იყო საფარი,—
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუალი და წამობურული.
იქა სცხოვრობდა ბლაკიაშვილი
ძაკო, ყაჩალად გამოვარდნილი.

მთვარე ჩასული იყო დიღხნისა,
როცა იმ ტყეში ერთი ხის-ძირსა,
ფრთხილად ეძინა ბლაჭიაშვილსა,
ბედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი ახლო ლამაზი ცხენი
ქაშმ მოუხდელი ჰსძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხობენ მოსვენებასა.

შეცრად შეკრთა, აცქიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა,
მერმე ტრიალით იწყო ფრუტუნი
და ერთ ალაგის ზედ დააცქერდა;
დიღხანს უცქერდა, და რა მოესმა
თავისი მოძმის ცხენის ფეხის-ხმა,
შექ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი გააფთხობინა.

ზამოხტა ქაჯო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა,
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჭკვივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ, მოყვრად, თუ მტრათა?“
მხედარი.

მოყვრათ, გულფიცხო, იყავ მშვიდათა.
ქაჯო.

თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
ქეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.
მხედარი.

ამინ!... შენ არ ხარ ბლაჭიაშვილი!

ძაკო.

დიახ, გახლავარ!... რა გნებავს შენა?
მხედარი.

შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.

ძაკო.

მომწონს ეგ სიტყვა!... შენც მომეწონე
და ამისათვის გენდობი შენა.

მხედარი.

ბულს გული იცნობს და ღონეს-ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.

ძაკო.

ხოშ-გელდი, ძამი!... მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაჟლებს აქამდინ მტრობა.

შოველს ხის ძირსა ჩემი სახლია,
საღაც ღამდება, იქ მითენდება;

თუმცა ბევრი რამ მე აქ მაჟლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიაღვილდება:

უსახლეარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,

შურდლელსავითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-და-ღამ ხელში!...

მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,

მაგრამ იქ ყველა გვიაღვილდება,
საღაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!...

მე თანა მყვანან რკინისა ძმები:

ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი,—
არ შიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი;
მს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზღილა
მოუდრეკია, როგორც რომ უინი;
ჩემთან საფრთხეში ბევრჯელ ყოფილა,
გამოუვლია ჭირი და ლხინი.

ამათ შიგანდე ჩემი ცხოვრება,
არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
და ძაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა.
ჩემი სიმღიდრე აი ეს არის!...

ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მე ვიცი ძმობა.
ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ, წამო!
დარიბულათა მე დაგიხვდები,
და ნუ დამძრახამ ყაჩალსა, ძამო,
თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.

მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად
და წამოჰყარა აღვირი ცხენსა,
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა;
მოხსნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც სავსე გადმოილო მან,
მერმე გადაჲკრა ხელი გავაზე
და შყის გააგდო ცხენი ბალახზე.
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
ძაკოს პირდაპირ დადგა შლუმარი,

მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს
და მოეწონენ ორნივ ერთმანეთს.
მოვიღნენ წყნარად და ხის-ძირს დასხდნენ,
მდუმარედ იყენენ ორნივ დიდხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ შინჯავდნენ,
ბოლოს კი ძაკომ უთხრა თამაშად:
„ვიცი მე, ძარი, არ გამიწყრები
და არ დამძრახამ მეტ კითხვისთვინა:
მითხარ, საიდამ გემუნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედინა?“
მხედარი.

შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი.
ბავშვაც კი იცის, ვინ არის „ძაკო!“
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილი შვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
ზამოქცევისარ უსამართლობას;
ბოძენ თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!...
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
მგ ვერაფერი სიყვარულია;
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
ბლეხ კაცი, როგორც ძმა, ჰყვარებია,

ზლეხ კაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია,
აბა კაციცა ისა ყოფილა
და ქუღიც იმას, ძმავ, ხურებია;
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზღილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!...
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
მხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს...
ჯერ არ მენახე, მაგრამ ვიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა,
შენთან წამოსვლას ბევრჯელ ვფიქრობდი,
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა.
ბოლოს კი, ძამო, გამიწყრა ლმერთი,
დამიტრიალდა უკულმა ბედი!...

ილია ჭავჭავაძე.

ი მ ე ღ ი.

I.

ვინა ხარ შენა მშვენიერო, მოხვედი სითა;
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური, მოურინდი ცითა?
შენის მზერითა აქმოშდე ვინ დასტკებოდა:
ცა, თუ ცის ქვეშე შენით ტურფავ გაბრწყინდებოდა?
ვინა ჰგალობენ შენს მშვენებას? ცასა ციერნი;
თუ ფერხთ მოდრეკით, განკვირვებით აქ ქვეყნიერნი?
ხარ ანგელოზი სამოოხიდვან გამოფრენილი
ჩვენ საბრალოთა დასატკბობლათ აქ მოვლენილი?

ან თუ სატანა ჯოჯოხეთმა მოგვზავნა ხმელად,
მოგცა შვენება, გადმოგაგდო გულთ — სავნებელად!

ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული,
მაგ ლამაზ მკერდ-ქვეშ, როგორც სხვათა, შენც გიძგერს გული!

აბა მაშ გვითხარ: ვით შემკულხარ ეგრეთ მდიდრულით
ჰარმონიითა, სიტურფითა, შვენებით სრულით?

პინ ბეღნიერმან და სად, როგორ, ეგრეთ აღვზარდა,
ან ვისი თვალი, შენით მთვრალი მარად გიმზერდა!

აღმოსავლეთის ყვავილთ შუა თუ გაიშალე,
ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვდიადს სტუქსე, მოხველ აქ მალე? —

მოგესალშებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა,
შენც გაულიმე სიშვილითა ძველსა ივერსა,

სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვათა და ბართა
შესამკობელად ფრიალონი წინ აღუმართა;

სადაც მთათ წვერნი ცისა კიდეს ებჯინებიან,
შელნიცა მარად ყვავილებით იმისებიან

და მათ ზედ რბიან წალკოტთ შუა წყალნი მცინარნი,
აქ სიყვარულსა სტვენენ მარად ბულბულნი წყნარნი;

რა ფუფუნებით ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლილობენ,
დამით ზეფირი, ღილით ნაში მაზედ ხარობენ.

აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ჟამს;
აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;

აქა რუსთველის ლექსნი კვალად ატკობენ ყურსა;
აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა;

აი სად მოხველ! და, აქ ყოფნა თუ მოგეწონა,
ზაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ, ფეხთა ჭინა!

იყავ შვენება, ნეტარება ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მოვარისა!

II.

მაგრამ აქ ხშირად ჰპოებ ტაძართ შთენთ დიდებულთა,
პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა;

მაგრამ სადგურნი, ფრიალოთვან გაღმოკიდუნლი,
უფსურულს უმზერენ დარღვეულნი, დატევებულნი.

შმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ ტყენი პბურვიან.

არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ ჭირვა, ცისკარი,
მხოლოდ დროებით მათზედ ჰპერავს გრიალით ქარი!

რას ნიშვნენ შთენნი, ეს ნანგრევნი, შენ გსურს იკითხო?
გსურს. ივერიის შავი ბეჭი ამოიკითხო?

ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის,—შილი მის ქარსა,
რაც ლმობიერმა გულმა გკითხოს, ჰკითხე მას ჯვარსა.

მირიანის დროს ხელში ეპყრა წმინდას ასულსა,
აწ ძველს ტაძარში მასა ჰპოებ წმინდად დაცულსა.

მავ არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბეჭი,
მკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი.

სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენი სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი!

გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მაზედ სწერია?
აი ეს აზრი: „წმინდა ჯვარი და ივერია“.

მათთვის მხურვალედ მამა-პაპათ გულნი უძგერდნენ,
მათ დასაცველად მთელს აზიას მწარედ ებრძოდნენ.

,,მრთის ხელითა წმინდათ ტაძართ, პალატით ვაგებდით,
და მეორეთი მტერსა ვსცემდით ხმალს,—არ ვაგდებდით;

ან სულ გავწყდეთო და ან მტერთა ვძლიოთ ეგება.“
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!

მაგრამ კეთილი შენი გული ვხედავ ჭმუნვარებს,
მაგ ლამაზს თვალში მარგალიტი ცრემლი ელვარებს,

სედაც? მამათგან რალა დაგვრჩა? მათ საშარენი,
და მტერთაგანა შემუსრვილნი მათნი არენი!

მრთი საუნჯეც დაგვრჩენია,—აი ის ჯვარი,
მაგრამ ქართველი მისთვის—მოკვდეს კვლავცა მზა არი!

ჩვენი მცერი, შვენიერი, არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდაში, გულთ საკლავი და სავალალო!

III.

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;

რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩის მიამბობდა,
ის ჟამი იყო საქართველოს სული ხდებოდა.

აპა, ირაკლი, გმირთა გმირი, ძახი პატარა,
. „ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!“

იბრძვის მთა—ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,
იბრძვის ოთხ-კუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ;

იბრძვის ძრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს თვალსა,
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს. ვალსა.

მაგრამ ეგ ლვაწლი, დიდი ლვაწლი, კარგი კმა არი!
მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი.—

როგორ თუ კმაა? მაშ ირაკლი საყვარელს მამულს,
შრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს,

მისცემს ურწმუნოთ, უომრად სისხლ-დაუღვრელად?
და მტერი უდგეს, არ გავიდეს ბრძოლისა ველად?

როგორ იკისროს—რაც თვით დასცა-სპარსთა მონება?
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლე, თავში გონება!

ან რაღათ უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი,
თუ ქართველთ მეფეს დეერქმევა შეენის ვალი! *)

ან თუ აღარ ჰყავს ირაკლისა ერთგულნი ყმანი,
მამულისათვის სასიკვდილოთ მარადის მზანი?

ან თუ შამქორში, ასპინძაში სრულებით გასწყდნენ!
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩნენ.

არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი;
სამი ათასი ქართველთ დასი არს დიდი დასი.

ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მჭარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან!

შალაქის კარი მაგრათ მათგან არს დაჭერილი;
„აქ სულ გავწყდეთო,“ ნათლად გულში აქვსთ დაწერილი.

ძრწანისის ბოლოს ზურამისძე ზარბაზნებს მართავს,
ან მტერს სულ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს.

*) ვალის სპარსთა და ოსმალოთა მეფენი უწოდებდნენ თავიანთ მო-
დგილებს და საქართველოში თავის ქვეშევრდომ ზოგიერთ მეფეებს.

მოხუცი მეტე კვირცხლის თვალით დღეს მტრის ურდოს
ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს მამა-პაპურს ომს.

მაგრამ უეცრად რა ძმა-ყმათა თვალთა მიაქცევს,
თვალთან ცრემლთ ცხართა უნებურად მიწაზედ აქცევს.

ზენანის ძმანი შენნი ყმანი? მჭმუნვარე ნუ ხარ!
შინ გაქვს ხვალ ვალი, იშრე თვალი, ჩვენთვის ნუ სწუხარ!

აგერ მზე ჩადის და აბრწყინებს მეტეხზედ ჯვარსა,
შის მადლი ძლევას, გამარჯვებას მისცემს შენს ჯარსა.

აჲა, თენდება ის ღიღი ღღე, ძნელი საამბოთ;
შართველნო, ყური მომიგდენით, უნდა გიამბოთ:

სამი ათასი სამოც ათასს მიეგებება,
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!

აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა, პატარა დასსა,
როგორ იღვწვიან და ებრძვიან სამოც ათასსა.

მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ! ჩვენს უღონოს სულის,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უვრძნობელს გულს?

მწარე მოთხრობა წასულთ დროთა არ აცხოველებს;
შეირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვეკრის ცრემლებს.

ჩვენ არცე ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ, ბნელი გვაქვს თვალი,

ოღონდ მამათვან დაშთომილი მამული ვსჭამოთ
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ, ძმათ ცილი ესწამოთ.

ოლონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს და ცაში ნუ ქუბს,
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოლანლულს.

თუ ნათლად გვქონდეს გულის გრძნობა და ნათლად პირნი,
ბევრს მოგვითხრობდნენ არაგვისა და მტკვრის ნაპირნი.

IV

არაგვისა და მტკვრის კიდენო, სამშობლო კიდევ,
თაყვანს გცემ დილით და მზის ჩასვლით თაყვანს გცემ კიდევ-

დიდი მოთხრობა თქვენზედ არის სისხლით ჩართული.
მაგრამ შენთ შვილთა სხვით რითმე გვაქვს თვალი გართული-

თვალ წინ გადგვიშლი მშვენებათა უხვთა მდიდართა.
გვიარის ჩქეფა და კამკამი შენთ წყალთ მცინართა;

უხვად ვიყნოსებთ ჰაერს წმინდას სუნნელოვანსა,
სიხარულითა შევმზერთ შენს ცას ლაულვარდოვანსა;

ის კი არ ვიცით და არ გვესმის, მისთვის არ ვზრუნავთ,
რა ისტორიის დედა-მიწას ფეხითა ვთრგუნავთ;

მას აღარ ვფიქრობ, იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწვევდა,
სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა.

შმირო! სცან ტკბილი განსვენება შენ. მხოლოდ იმ ჟამს,
როცა ქართველნი დაატირდნენ თელავში შენს გვამს...

შძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი!

და დასავლეთის შრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა შრისტესთვის თქვენ თვალ-წინა თქვენს კარს ვწყდებოდით?

თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით,
ჩეგვას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით.

თავიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ:
უამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდათ პაპათ;

ზოგნი თვისთ მთავართ ალსრულებდნენ მონებით ნებას
და მათ სასახლეთ, კეკლუც დიაც უძღვნილნენ ქებას.

და შეილებსაც კი ხშირად გაზით შავი ბეჭედი.
არ დაიღუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!

გართლ-მადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ,
მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!..

V

გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა,

მაშინ მოყვასნო მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუთუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?

თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება
და თუ ეს აზრი არ არს მტერთა და ცრუ ზმანება;

თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მთათა და ველებს,
თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;

თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჰქუა და ენა;
თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი აღმოაცენა;

თუ თვის ქმნილებას სამძღვარი და კანონი მისცა
და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა;

თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების;
თუ ნათელი არს და ნათელი ჰეშმარიტების:

მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო!?
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა პატარა ძახო;

როს გადაავლე შენს ქალაქსა პვლაბრით თვალი,
და დაინახე ოთხის კუთხით ავარდა ალი!?

VI

რად მიმაქციე ტურფა სახე, ტურფა ასულო!
შეწყინა ჩემგან ლვოისა გმობა, იგრძენი სულო?

VII

მაგრამ! რას ვროტავ უბედური და რასა ვყბედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ?

ვარ მომაკვდავი, ქმნილი მიწით, მსხვერპლი მიწისა,
შთამომავალი პდამისა, თესლი ბიწისა.

სიკვდილი მელის და სიკვდილსა ვერ გავექცევი,
საფლავს მკვდარიცლა არ დავრჩები, მიწად ვიქცევი:
ვბედავ კი მივწვდე მოკლე ჰკუით მაღალს ლვთაებას,

მსურს უბედურსა გზა უჩვენო ციურსა ნებას;
ვბედავ ვიძიო ზენა სიბრძნე მე სუსტის ძალით;

ვბედავ განვსჭრიტო ლვოის განგება მე ბნელის თვალით!
ლმერთო კეთილო! მომიტევე შენს დაბადებულს,

ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულ-გადაგებულს.
რა ვქნა, ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,

როს საქართველო დანგრეული მომელანდება;
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება განჯერნენ

და მათ სახელნი, მათ ხსენება აღარსად დარჩნენ.

VIII.

მომიახლოვდა მაშინ ტურფა, მშვიდი ასული,
გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული;

გწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ არ განქრებიან;
გწამდეს, ეს შთენნი ღიდებულად კვლავ აღსდგებიან:

გართლ-მაღიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი,
მოგფენთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს,—და თქვენი ერი

გრისტეს ჯვარისთვის წამებული კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება;

ამიერ თქვენთან დავამყარე წმიდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქმნები სტუმარი ხშირი!...

დავემხე წმიდა, მშვენიერის ასულის წინა,
უანბორებდი მის ფერხთ მტვერსა:—ტურფავ, ხარ ვინა?

თუმცა პასუხი მშვენიერმა არა-რა მომცა,
მაგრამ ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულსა სცა!..
ვახტანგ ორბელიანი.

ჩემს მერჩნს.

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!

გაჰსწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ლრენი,
გაჰსწი, გაუურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი
დღენი!

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავ განწირულსა შენსა მხედარსა,
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგო-
ბარსა;

ნულარ ვიზილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ
მოუბარსა.

საღ დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
შხოლოდ ვარსკვლავთა, თანა მავალთა ვამცნო გულისა მე
საიდუმლო!

ქვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიფურსა ლტოლვას!
გაჰსწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის;

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუცა დამეცეს ცრემლი
მწუხარის,—

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ლრიალით მიწას
მომაყრის!

ჟატროს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან
ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყი-
ვარნი!

ზაჰსწი, გაურინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

და მოვჭკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!

ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!

ზაჰსწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი,

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის
კვეთება!

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს

და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!

ზაჰსწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

ნიკოლოზ ბარათაშვილი.

გ ა ნ დ ე გ ი ლ ი

(ლეგენდა)

საღაც ღიღებულს მთასა მყინვარსა
 მრბნი, არწივნი ვერ შეჰებიან,
 საღ წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
 მზისგან აროდეს არა ჰდნებიან;
 საღ უდაბურსა მას მყუდროებას
 ძაცთ ურიამული ვერ შეჰსწვდენია;
 საღ მეუფება ჭექა-ჭუხილსა,
 შინულს და ქართა მხოლოდ შთენია,—
 შწინდელს დროში ლეთისა მოსავთა
 გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
 და იმ ყინულში შეთხრილს ლეთის ტაძარს
 ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.

ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
 იმ წმინდათ საღურს ყინულის ზღუდე
 და ზედ კარია გამოკვეთილი
 გით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.

ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
 ზედა ჰერიდია თურმე იმ კარსა
 და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით,
 ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

აქა ყოფილა უწინ კრებული
 ლეთისთვის ქვეყნიდამ განდევილ ძმათა

და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა წმიდათა.

აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთის-სოფლის სამაცლუროსა,
აქ ჰლირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.

გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი,
მთიულთა შორის ყველგან გათქმულა,—
და ის ადგილი, ის არე-მარე
მსოდენ წმიდად სწამს დღესაც ერსა,
რო ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.

თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერ ვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება
და თუ შეჰედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
შექა-ქუჩილით მოევლინება.

ოდესლაც ტაძარს, იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.

განშორებია, ვით ცოდვის საღვურს,
ვით სამეუფლოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცლელსა შას ეშმაკისასა;

სად ცოდვა კაცა ჰელევნის დღე-და-ღამ
გითა მპარავი და მტაცებელი,
სად რასაც ჰელის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰედის
შმიდა სიყვარულს მოყვასისასა.

განშორებია ამ წუთის-სოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
მშმაკის მახე და ცდუნებაა.

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილო ფიქრთაგან
იმ დღიდგან ალარ შეძრწუნებულა.

განუდევნია გულილამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს შფლისა მსჯავრსა
სულით განწმედილ და განბანილი.

დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია
და ვით კურპელი იგი წყმედული
ცრემლით ურეცხავს, უსველებია.

დღე-და-ღამ სულთქმა და ღალადება
მოჰყენია კლდეს ყინულისასა

და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
პითა ღელესა მას გლოვისასა.

გაწყენებული წუთის-სოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორცეული გულის-თქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასწნევოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰიზნებოდა.

სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მაღლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭათ შეკრულს,
შარავანდედი გარდაფენოდა.

მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა
თვით სათნოება კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰარიან
და სულთან ერთად შფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.

ლოცვით და მარხვით ხორც უძლოურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდასა იგი წამებულს,
მრავალ-გზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით მოსილსა და განდიდებულს.

ჭამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღალადებელზედ მოუვლენია.

ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.

ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის-წვერზედ
მზე სხივ-გაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.

როს ლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორც-უსხმელი მზის სხივი იგი
შფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.

მგრე ვიდოდენ დლენი და წელნი,
მგრე უბიწოდ იგი ჰსცხოვრებდა...
და თვის სიწმიდეს ყოველ-დღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

მრთხელ საღამოს ლოცვით დაღლილი
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოპყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.

მჩე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადალშა არ დასულიყო,

და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი
იმგვრგვლივ სხივ-გაშლით ანთებულიყო.

ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერცხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ღუოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში თრთოდა.

ამა უბიშო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს დვთის დიდებისას
შეჰსცერდა მზესა განცვიფრებული.

შეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაპერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი
ცაზედ განეორხო და გაიშალა
ცა იქ თითქო მტერს შეეჯახაო
შექა-ქუხილით დაიგრიალა.

შეირყა მთელი ცა და ქუყანა
იმა კექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.

შუხვა და ქექა, ელვა და სეტყვა
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
შართა, აწ გრიგლად რაღმე ქცეულთა,
შარით და ზათქით კლდეებში ქროლა,—

მსე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქმ ღმერთი ჰსჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.

ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა
და ხელ-აღპყრობით ევედრებოდა
ჭარბმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

ილია ჭავჭავაძე



